პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 38-ე წელი № 211 (10908) | პარასკევი, 6 სექტემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ამხანაგი მორის ტორეზი სსრ კავშირიდან გაემგზავრა (1-ლი გვერდი).

ა. ხელაშვილი. — როგორ მოჰყავთ ყურძნის უხვი მოსავალი (1-ლი გვერდი).

ნ. ჯანჯღავა. — მწველავთა მეგობრობა (1-ლი გვერდი).

გ. ბრეგაძე. — სოციალიზმი მსოფლიო სისტემაა (მე-2 და მე-3 გვერდი).

ბ. მილიუტინი. — პარტიული ორგანიზაცია და წარმოების ნოვატორები (მე-2 გვერდი).

ნოტების გაცვლა საბჭოთა მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს შორის ახლო და შუა აღმოსავლეთში მდგომარეობის საკითხზე (მე-2 გვერდი).

ნ. ჩხეტია. — წინსვლის [illegible] (მე-3 გვერდი).

ა. დარჯანია. — [illegible] ადგილობრივი ელექტრონული კალკულატორების მოსამზადებლად (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გავაძლიერეთ პასუხისმგებლობა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვისათვის

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გეგმის შესრულება თვითეული რაიონის, კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის სიცოცხლისა-მეცნიერო საქმეა. ქალაქების მოსახლეობის მეცხოველეობის პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესების ამოცანა მოითხოვს, რომ მეტი ხორცი, რძე, კარაქი და სხვა პროდუქტები მივცეთ დედა სამშობლოს. ჩვენს რესპუბლიკაში არიან ისეთი მეურნეობები, რომლებიც წარმატებით მუშაობენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასადიდებლად. მათ კარგი გამოცდილება შეიძინეს ამ მიმართულებით.

მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს სსრ მთელ რიგ რაიონებში მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება და შესყიდვა სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. განსაკუთრებით დიდი ჩამორჩენაა რძის დამზადებასა და შესყიდვაში. ამას მოწმობს შემდეგი მონაცემები: 1 სექტემბრისათვის მთლიანად რესპუბლიკაში რძის დამზადებისა და შესყიდვის 1957 წლის გეგმა შესრულებული იყო 62,9 პროცენტით. მათ შორის კოლმეურნეობების ხაზით 70,6 პროცენტით, საბჭოთა მეურნეობების ხაზით 75,3 პროცენტით, ხოლო ინდივიდუალური ჩაბარებლების მიერ 41,3 პროცენტით.

სერიოზული ჩამორჩენაა აგრეთვე მატყლის და კვერცხის დამზადებასა და შესყიდვაში.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებასა და შესყიდვაში შეუწყნარებლად ჩამორჩნენ კაჟეთის (პარტიის რაიკომის მდივანი ვ. რევაზიშვილი, რაიალმასკომის თავმჯდომარე ა. ასანიშვილი), სიღნაღის (ზ. ბიძინაშვილი, ი. მესხიშვილი), ქარელის (ვ. გელაშვილი, ი. ნოზაძე), ვანის (გ. ლიღლუაშვილი, ა. ლომინაძე), აბაშის (მ. ბოკერია, ა. ჯღარკავა), ცხაკაიას (ი. ურუშაძე, დ. ბაღათურია), წულუკიძის (ს. ლეკავა, მ. აბზიანიძე) და სხვა რაიონები. ამ რაიონებში რძის დამზადებისა და შესყიდვის 1957 წლის გეგმის შესრულება 1 სექტემბრისათვის 35-57 პროცენტს შეადგენდა.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების და, კერძოდ, რძის ჩაბარებაში ჩამორჩენა ძირითადად იმის შედეგია, რომ პარტიის რაიონული კომიტეტები, რაისაბჭოების აღმასკომები, ჩამორჩენილი რაიონების მტს-ები და დამამზადებელი ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ დამზადებისა და შესყიდვის საქმეს. ეს გამოწვეულია აგრეთვე იმით, რომ რესპუბლიკის მრავალი კოლმეურნეობისა და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელები არ გრძნობენ პასუხისმგებლობას ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმისათვის.

შექმნილი მდგომარეობა დიდი პასუხსაგები ამოცანის წინაშე აყენებს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, რესპუბლიკის სამეურნეო ორგანიზაციებს. არ შეიძლება შეწყნარებულ იქნას დამზადებისა და შესყიდვის გეგმის შეუსრულებლობა. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაკები პოწოდებული არიან სერიოზული ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს, აამაღლონ თავიანთი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის და ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი ჩამორჩენის სწრაფად დაძლევას.

პარტიის რაიონული კომიტეტები, რაისაბჭოების აღმასკომები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები მოვალენი არიან განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის ტემპების მკვეთრად ამაღლება, კერძოდ, რძის, მატყლის და კვერცხის წარმოების გადიდება. ამოცანა ის არის, რომ თვითოეულმა რაიონმა, კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ და ინდივიდუალურმა ჩაბარებელმა ადამდე შეასრულოს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის 9 თვისა და წლიური გეგმები. ამას მოითხოვს სახელმწიფოს, კოლმეურნეობებისა და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების ინტერესები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონის განუხრელი ამაღლებისათვის. ამ მამობრივი მზრუნველობის ერთ-ერთი მკაფიო განსახიერებაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 4 ივლისის დადგენილება „კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების გაუქმების შესახებ“.

ამ დადგენილებით 1958 წლის 1 იანვრიდან გაუქმებულია სახელმწიფოსათვის ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის სავალდებულო ჩაბარება კოლმეურნეების, სარეწაო არტელების, მებადურების არტელების წევრთა, ინვალიდთა კოოპერაციის არტელების წევრთა მეურნეობების მიერ, იმ მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების მიერ, რომლებიც მუდმივ სამუშაოზე იმყოფებიან სახელმწიფო საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და რომლებიც ცხოვრობენ სოფლებსა და ქალაქებში და საგარაკო დაბებში.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს აღნიშნულ დადგენილებას.

საჭიროა საკოლმეურნეო სოფელში გავაძლიეროთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. აგიტატორები, პროპაგანდისტები მოწოდებული არიან ღრმად გააცნონ მშრომელებს კომუნისტური პარტიის ბრძნული პოლიტიკა საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში, გაამახვილონ ყურადღება იმაზე, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს 1958 წლიდან კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების გაუქმებას და დარაზმონ ისინი იმისათვის, რომ მთლიანად შეასრულონ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის 1957 წლის დავალებანი.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ამიტომ ახლა დიდად არის გაზრდილი პარტიული და საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ თვითეული ჩამბარებელი პირნათლად ასრულებდეს თავის ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე. პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნებს, რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს პერსონალური პასუხისმგებლობა აკისრიათ ჩამორჩენის დაძლევისა და რძის, ხორცის, მატყლის და კვერცხის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმების დროულად შესრულებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის მიმდინარეობა და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი ჩამორჩენის დაძლევისათვის. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, ყველა მშრომელის გადაუდებელი საზრუნავია განუხრელად განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

ახლა მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია შესანიშნავი პატრიოტული მოძრაობა — ყოველ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე დიდი რაოდენობით მიიღონ ხორცი, რძე, მატყლი. საყოველთაო ბოლოწონება ჰპოვა ჩვენი პარტიის საბრძოლო ლოზუნგმა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, კარაქისა და რძის წარმოების მხრივ. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები გადიდებულ ვალდებულებებს იღებენ, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ საყოველთაო-სახალხო ამოცანის ბრწყინვალედ გადაჭრაში.

სოციალისტური შეჯიბრების მთელი ძალა სოფლად უნდა წარიმართოს იქითკენ, რომ გამრავლდეს მეცხოველეობაში მოწინავეთა რიგები. ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის დამზადებისა და სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმების სასახელოდ შესრულება საუკეთესო საჩუქარი იქნება დედა სამშობლოსათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავზე.

ამხანაგი მორის ტორეზი სსრ კავშირიდან გაემგზავრა

სსრ კავშირში დახვენების შემდეგ 4 სექტემბერს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრნენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ამხანაგი მორის ტორეზი და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხანაგი ჟანეტა ვერმერში.

ბელორუსიის ვოგზალზე ამხანაგი მორის ტორეზი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა და ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა მ. ა. სუსლოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა ამხანაგმა ბ. ნ. პონომარიოვმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელმა მუშაკებმა. (სკკ ლეხი).

საბჭოთა საქართველოს დღე

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს!

როგორ მოჰყავთ ყურძნის უხვი მოსავალი

საქართველოს მევენახეობის რაიონებს შორის გურჯაანის რაიონს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის 80-85 პროცენტი მევენახეობაზე მოდის. ამ რაიონში არიან მოწინავე კოლმეურნეობები, რომლებიც ყურძნის უხვი მოსავლის მიღებით ფართოდ გაითქვეს სახელი.

მევენახეობაში მოწინავე სასოფლო-სამეურნეო არტელებს შორის ყურადღებას იპყრობს სოფელ ველისციხის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც ახალგაზრდა მევენახე-აგრონომი ამხ. დ. მამისაშვილი ხელმძღვანელობს.

კოლმეურნეობას აქვს 200 ჰექტარზე მეტი ვენახი, სადაც ძირითადად გაშენებულია რქაწითელისა და საფერავის ვაზის ჯიშები.

თითქმის ყველა კოლმეურნე ერთნაირად არის დაინტერესებული მევენახეობის განვითარებით და ეს გასაგებიც არის. ეს დარგი სასოფლო-სამეურნეო არტელს აძლევს ფულადი შემოსავლის ოთხმოც პროცენტზე მეტს. კოლმეურნეები კარგად ინაზღაურებენ თავიანთი შრომის ნაყოფს და ყოველწლიურად იღებენ ყურძნის უხვ მოსავალს. მევენახეობის ყველა ბრიგადის ენერგიული, შეწყობილი მუშაობის შედეგად კოლმეურნეობამ 1954 წელს ვენახის მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოკრიფა 107,4 ცენტნერი ყურძენი, 1955 წელს (მიუხედავად ვენახების ორ-სამჯერ დასეტყვისა) — 74,9 ცენტნერი და 1956 წელს — 78 ცენტნერი ყურძენი. უფრო უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს ცალკეულმა ბრიგადებმა და კოლმეურნეებმა. მაგალითად, № 6 ბრიგადამ (ხელმძღვანელი ა. შექვევრიშვილი) მისთვის მოსავლელად მიჩენილი 18 ჰექტარი მსხმოიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე 1954 წელს მიიღო 112 ცენტნერი, 1955 წელს — 99,8, ხოლო 1956 წელს — 103,8 ცენტნერი ყურძენი. № 8 ბრიგადამ (ხელმძღვანელი მ. კოპაშვილი) მისთვის მოსავლელად მიჩენილი 16 ჰექტარი მსხმოიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფა: 1954 წელს — 128 ცენტნერი, 1955 წელს (მიუხედავად ძლიერ დასეტყვისა) — 88,8 ცენტნერი, ხოლო 1956 წელს — 104,8 ცენტნერი ყურძენი. ამავე ბრიგადის მერგოლურმა ამხ. ვ. ნესუაშვილმა შარშან მისთვის მოსავლელად მიჩენილი 3,8 ჰექტარი მსხმოიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოკრიფა 125,35 ცენტნერი ყურძენი, ხოლო მერგოლურმა წ. ტერ-ნერსესოვმა ასეთივე ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 139,83 ცენტნერი ყურძენი.

კოლმეურნეობაში წარმატებას აღწევენ უპირველეს ყოვლისა შრომის სწორი ორგანიზაციით და ვენახის მაღალხარისხოვანი მოვლა-დამუშავებით. უკანასკნელ წლებში აქ მნიშვნელოვნად შეამცირეს ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის რიცხვი და განამტკიცეს შრომადღის სწორად დარიცხვის წესი. ამაღლდა კონტროლი შესრულებულ სამუშაოთა ხარისხისადმი.

დ. მამისაშვილი.

• • •

ველისციხელი კოლმეურნეები ყურძნის უხვი მოსავლისათვის ზრუნვას შემოდგომაზე — რთველის დამთავრებისთანავე იწყებენ. ამ დროს ატარებენ რიგებს შორის ნიადაგის 20-25 სანტიმეტრის სიღრმეზე ხვნას, რაშიც მათ ეხმარება ველისციხის მტს-ის კოლექტივი. ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ცალკეული ნაკვეთების მორიგეობით საშემოდგომო ხვნის პარალელურად ნიადაგში შეაქვთ გადამწვარი ნაკელი ჰექტარზე საშუალოდ 60-70 ტონის რაოდენობით. შემოდგომასა და ზამთრის პერიოდში ჰექტარზე შეაქვთ კალიუმის მარილი 500 კილოგრამის, ფოსფორი 700 კილოგრამის, ხოლო გაზაფხულზე აზოტი 600 კილოგრამის რაოდენობით.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ვაზის გასხვლა-გაფორმებას, რასაც იწყებენ ადრე გაზაფხულზე და ამთავრებენ სწრაფად — ვაზში წვენთა მოძრაობის დაწყებამდე. ვაზის გასხვლას დახელოვნებული კოლმეურნეები აწარმოებენ, რომლებიც თვითეულ ვაზს ინდივიდუალურად უდგებიან. ვენახის მთელი ფართობი გადაუვანილია შპალერზე, რაც დიდად აადვილებს ვაზის დატვირთვის რეგულირებას. ყურძნის უხვი მოსავლის მიღებას წარმატებით შეუწყობელი ცალმხრივი შპალერის ორმხრივზე გადაყვანამ და პროგრესული მეთოდის — თავისუფალი ფორმის ფართოდ დანერგვამ მსხმოიარე ვენახის მთელ ფართობზე. თუ წინათ თვითეულ ძირ ვაზზე ტოვებდნენ თითო სანაყოფეს 10-12 კვირტით, ახლა თვითეულ ვაზს უტოვებენ 2-3 სანაყოფეს 25-30 კვირტით. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ვაზის დატვირთვას ადიდებენ არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით, მისი სიძლიერის მიხედვით.

დიდი პასუხისმგებლობით აწარმოებენ ვაზის შეყელვას, რომელსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად. ველისციხელმა კოლმეურნეებმა კარგად იციან, რომ ვერტიკალურ მდგომარეობაში მყოფ სანაყოფეს (საკვებელს) ახასიათებს წვერის კვირტების ძლიერი განვითარება და ძირისა და შუა კვირტების განუვითარებლობა ან სუსტად განვითარება. ამის გამო გაზაფხულზე ვაზის შეყელვისას დიდი სიფრთხილით აწარმოებენ მავთულზე ჯერ რქის ძირის მიკვრას, შემდეგ მის მოლუნვას და ჰორიზონტალურად მავთულზე წვერით დამაგრებას. გაზაფხულ-ზაფხულში 4-6 ჯერ აწარმოებენ ნიადაგის 8-10 სანტიმეტრის სიღრმეზე კულტივაციას და რიგებში გამოთოხნას, ისე, რომ მთელ სავეგეტაციო პერიოდში ვენახის ფართობის უმეტესი ნაწილი შავ-ფხვიერ მდგომარეობაშია.

თავის დროზე და მაღალხარისხოვნად ასრულებენ აქ ვაზის მწვანე ოპერაციებს. პირველად ახორციელებენ ზედმეტი ყლორტების შეცლას (გაფურჩვნას). ამ ოპერაციას ატარებენ ვაზის სხვლაში დახელოვნებული კოლმეურნეები, რომლებიც კარგად ერკვევიან ამა თუ იმ ყლორტის მოცილების ან დატოვების მიზანშეწონილობაში. ზედმეტი ყლორტების მოცილებით ზრდის მთელი მარაგი გადადის ვაზის სასარგებლო ნაწილების გასაძლიერებლად, რეგულირდება ვაზის დატვირთვა და მნიშვნელოვნად დიდდება ყურძნის მოსავალი.

უდიდესი პასუხისმგებლობით ატარებენ ყლორტების წვერის წაწყვეტას ვაზის ყვავილობის დასაწყისში, რაც საუკეთესო საშუალებაა ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად. ყლორტების წვერის წაწყვეტით ზრდაში დასახარჯი საკვები ნივთიერება მთლიანად ხმარდება ყლორტის დარჩენილი ნაწილის განვითარებასა და ყვავილედს. ყვავილედის მიერ საკვები ნივთიერების მომეტებული რაოდენობით მიღების გამო მნიშვნელოვნად მცირდება ყვავილების ცვენა და დიდდება მტევნების მარცვლების რაოდენობა, რაც საბოლოოდ ზრდის ყურძნის მოსავალს.

ვაზის ყლორტების ზრდის შენელების პერიოდში (ივლისის ბოლო რიცხვები) ატარებენ ცის გახსნას (თავების გადაჭრას), რაც მნიშვნელოვნად ზრდის მოსავალს, აჩქარებს ყურძნის დამწიფებას და ხელს უწყობს მომავალი წლისათვის სანაყოფე კვირტების უკეთ ჩასახვას.

ყურძნის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის გატარებით არ მთავრდება. შემდეგი გადაუდებელი საქმეა მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღება, ისევე, როგორც რაიონის სხვა ვენახებში, ველისციხის კოლმეურნეობის ვენახებშიც ყურძენი განსხვავებულ ვადებში მწიფდება, რაც სხვა პირობებთან ერთად დამოკიდებულია ნიადაგის შემადგენლობასა და ნაკვეთის მდებარეობაზე. ამიტომ მოსავლის აღების წინ გულდასმით ამოწმებენ ყურძნის სიმწიფის მდგომარეობას და რთველს ყოველთვის შერჩევით იწყებენ. შარშან ცუდი ამინდების მიუხედავად ყურძნის კრეფა 15 დღეში დაამთავრეს და ხელმწიფოს 700 ტონა ყურძენი ჩაბარეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 500 ტონისა.

კოლმეურნეობაში წარმატებით ჩატარდა ვენახის საგაზაფხულო და საზაფხულო სამუშაოები, რის შედეგადაც მთელი ფართობი საუკეთესოდ არის მოვლილი და მშრომელებს ყურძნის უხვ მოსავალს პპირდება. მალე აქ გაჩაღდება ბარაჭიანი რთველი.

ველისციხელი მევენახეები ახალი წარმატებებით შეხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

ა. ხელაშვილი,

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ შეასრულა 8 თვის გეგმა

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი თანდათან მზარდი მაჩვენებლებით ასრულებს საწარმოო დავალებებს, მტკიცედ დგას რესპუბლიკის მოწინავე მანქანათმშენებელი ქარხნების რიგში.

8 თვის საწარმოო გეგმა საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში ავტომობილმშენებლებმა 104,6 პროცენტით გაანაღდეს და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 25 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია გამოუშვეს. ამასთან შრომის ნაყოფიერება გადიდებულია 13 პროცენტით, საგრძნობლად შემცირებულია პროდუქციის თვითღირებულება და გაუმჯობესებულია გამოშვებული ავტომანქანების ხარისხი.

საოქტომბროდ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში მოწინავენი არიან ძრავების, ავტომატების, მთავარი კონვეიერის და პირველი ლითონსამსხმელო საამქროების კოლექტივები.

ა. ბერუჩევი,

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ინჟინერი.

მზარდი მაჩვენებლები

თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივმა აგვისტოში საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა, მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელებით მიაღწია ლითონსხმულის ხარისხის ამაღლებას, წუნის შესამჩნევად შემცირებას. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბოლო თვეებში ქარხნის კოლექტივი საერთო პროდუქციის გამოშვების თანდათან მზარდ მაჩვენებლებს აღწევს. მაგალითად, 7 თვის გეგმა ფოლად-თუჯსმსხმელებს შესრულებული ჰქონდათ 102,9 პროცენტით, ხოლო 8 თვისა — 103,5 პროცენტით.

გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში, ლითონსხმულის ხარისხის გაუმჯობესებასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში დაწინაურდა და აგვისტოში მიღწეული შედეგების მიხედვით საქარხნო გარდამავალი წითელი დროშა შეინარჩუნა პირველი საყალიბო საამქროს კოლექტივმა (უფროსი ა. მაისურაძე). მეორე ადგილი დაიკავა მეორე საყალიბო საამქროს კოლექტივმა (უფროსი ი. შკინნინი).

ამჟამად ქარხანაში გაჩაღებულია დიდი მუშაობა დიდგაბარიტიანი დეტალების სამსხმელო კონვეიერის დასამონტაჟებლად. მემონტაჟეებმა იკისრეს ეს კონვეიერი საექსპლოატაციოდ გადასცენ მიმდინარე წლის ბოლომდე.

მწველავთა მეგობრობა

რაოდენ საესიხარულოა, როცა ეცნობი მოწინავე ადამიანების შრომას, მათს წარმატებებს. ისინი მრავლად არიან ჩვენი საშობლოს ყოველ კუთხეში და გარკვეული წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

დიდი ოქტომბრის მზის ქვეშ, ჩვენს თვალწინ გაიზარდნენ ათასობით უბრალო, ჩვენი დროის წარჩინებული ადამიანები, რომლებიც დაეუფლნენ პროფესიებს, სახელი და დიდება მოიპოვეს ბეჯითი შრომით. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც დაამსხვრიეს გამომუშავების ძველი ნორმები, გამოიჩინეს ინიციატივა, დანერგეს მოწინავეთა გამოცდილება, ურთიერთშეჯიბრებისა და მეგობრობის დიადი დროშით უმაგალითო წარმატებებს მიაღწიეს.

ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დადასტურებაა მიხეილ ბელქანიას და ქენია მუქერიას მეგობრობის წარმოშობა და მათი შრომითი მიღწევები. ვინ არიან ისინი? მიხეილ ბელქანია ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველი სინაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებული მწველავია. თავისი მუშაობის გამოცდილების შესახებ ამას წინათ ვრცლად მოგვითხრობდა თვითონ მიხეილი გაზეთ „კომუნისტში“. ამ წერილმა ბევრი მწველავი დაინტერესა. ყველაზე ადრე მას გამოეხმაურა სამტრედიის რაიონის ძველი სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი ქენია მუქერია.

მისი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ რაიონულ გაზეთში მოათავსა წერილი: „თქვენთან ვებმები სოციალისტურ შეჯიბრებაში, ამხანაგო მ. ბელქანია!“ მაგრამ ამით როდი დაკმაყოფილდა, გადაწყვიტა ადგილზე გასცნობოდა მ. ბელქანიას მუშაობის გამოცდილებას. კოლმეურნეობის გამგეობამ და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ მოიწონეს ეს ინიციატივა და მიმდინარე წლის 16 აგვისტოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. წიქვაძე, მემინდვრეობის მოწინავე მერგოლური ა. ანდრიაძე და მწველავი ე. მუქერია ესტუმრნენ ძველსინაკელებს.

ძველსინაკელებმა გულთბილი, საქმიანი შეხვედრა მოუწყეს სამტრედიელ სტუმრებს. საინტერესო იყო მიხეილ ბელქანიას და ქენია მუქერიას პირველი საუბრები წველადობის გადიდების ღონისძიებებზე, ბევრი სიახლე გამოვლინდა მათს მუშაობაში. ეს საქმიანი საუბრები დამთავრდა ურთიერთშორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გაფორმებით. მათ გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

ეს შეხვედრა ამით როდი დამთავრდა. ძველი სინაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. კერდღელიამ სიტყვა აიღო. მან თქვა: მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. სასიხარულოა, რომ ჩვენმა სახელოვანმა მწველავებმა საფუძველი ჩაუყარეს მეგობრობას. ამხანაგებო, ეს მეგობრობა უფრო განვამტკიცოთ — ჩვენი კოლმეურნეობები შეეჯიბრონ ერთმანეთს.

— შესანიშნავი წინადადებაა. ძველი სამტრედიის კოლმეურნეობა მზად არის შეეჯიბროს ძველი სინაკის კოლმეურნეობას — ასე დაამთავრა თავისი სიტყვა ძველი სამტრედიის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. წიქვაძემ.

არ დააყოვნეს. გაფორმდა სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებანი. სტუმრებს მოიწონათ მეცხოველეობის ფერმები, სიმინდის ყანები, ვენახი, თუთის სანერგე მეურნეობა. ძველსინაკელებმა პირობა მისცეს აწალ მეგობრებს, რომ გადასცემენ საუკეთესო ჯიშის თუთის ნერგებს. სტუმრებმა კი ვალდებულება იკისრეს ყველს შემოდგომაზე ძველსინაკელებს 1 ჰექტარზე დაუთესონ კომბოსტო. ძველსამტრედიელებმა მოწინავე ბრიგადებისა და მწველავებისათვის დაწესეს ძველი სინაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გარდამავალი წითელი დროშები. შესაბამისად მოიქცნენ ძველსინაკელებიც.

ამ ორი მწველავისა და კოლმეურნეობის წევრთა მეგობრობა, საქმიანი შეჯიბრება დაუყენებულია. კარგია, რომ ამ კეთილშობილურ საქმეს — შეჯიბრების პროპაგანდას სათავეში უდგანან ცხაკაიას და სამტრედიის რაიონული გაზეთები.

ნ. ჯანჯღავა.

მათი შრომითი მიღწევები

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

4 სექტემბერი

გათუმის რაიონი

აიშე ჯაფარიძემ სოფელ ხელვაჩაურის კოლმეურნეობაში მოკრიფა 50 კილოგრამი ჩაის ფოთოლი დღიური გეგმით გათვალისწინებული 25 კილოგრამის ნაცვლად. სულ 0,5 ჰექტარზე მოკრეფილი აქვს 2.655 კილოგრამი ფოთოლი, წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.400 კილოგრამის ნაცვლად.

გეგეჭკორის რაიონი

მარგო ჩიქვანაიამ დაბა გეგეჭკორის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 55 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ამით დღიურ ნორმას 40 კილოგრამით გადააჭარბა. სულ 0,5 ჰექტარზე მოკრეფილი აქვს 3.781 კილოგრამი ჩაი 2.189 კილოგრამის ნაცვლად.

დეფა კვანტალიანი ენერგიულად მუშაობს სოფელ სერგეითის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობაში. მან მოკრიფა 50 კილოგრამი ნედლეული დღიური გეგმით გათვალისწინებული 20 კილოგრამის ნაცვლად. სულ 0,3 ჰექტარზე მოკრიფა 3.100 კილოგრამი ჩაის ფოთოლი წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.800 კილოგრამის ნაცვლად.

ვერა ოკუჯავამ სოფელ გეგეჭკორის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 60 კილოგრამი ნედლეული და ამით დღიურ ნორმას 40 კილოგრამით გადააჭარბა. სულ 0,4 ჰექტარზე წლიური გეგმით უნდა მოეკრიფა 2.350 კილოგრამი ფოთოლი. ფაქტიურად მოკრიფა 2.785 კილოგრამი.

★

თბილისი. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანაში მომუშავე ქალებს შორის საოქტომბრო შეჯიბრებაში თავი ისახელა მხეხვმა ტ. ანისტრატოვამ, სურათზე: ტ. ანისტრატოვა მუშაობის დროს.

პარტიული ცხოვრება

პარჯიული ორგანიზაცია და წარმოების ნოვატორები

ქალაქ ზუგდიდის მახლობლად მდინარე ენგურის მარცხენა ნაპირზე აგებულია ქაღალდ-ცელულოზის კომბინატი. მის მაღალ კორპუსებში წყაროსავით ჩქეფს შემოქმედებითი შრომა.

წლების მანძილზე კომბინატი ჩამორჩებოდა გეგმების შესრულებაში, ირღვეოდა ტექნოლოგიური პროცესები, ადგილი ჰქონდა იერიშობანას. კომბინატის კოლექტივი სერიოზული ამოცანის წინაშე იდგა — საჭირო იყო მთელი ძალების დარაზმვა ჩამორჩენის გამოსასწორებლად. ბრძოლას ჩამორჩენის დაძლევისათვის სათავეში ჩაუდგა პარტიული ორგანიზაცია. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ფართოდ გაშლას. მიმდინარე წლის დამდეგს მოწვეულ იქნა პარტიული კრება, რომლის დღის წესრიგში იდგა რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საკითხი. კრებაზე გამომქალავნდა მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც ხელს უშლიან წარმოებაში მოწინავე ტექნიკის დანერგვას, გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის შემდგომ განვითარებას. კრებამ მიიღო კონკრეტული დადგენილება, რომელშიც გათვალისწინებულ იქნა კამათის მონაწილეთა შენიშვნები და წინადადებები. პარტიულმა კომიტეტმა გააჩაღა ორგანიზატორული მუშაობა დადგენილების შესასრულებლად. გაძლიერდა ტექნიკური პროპაგანდა მასებში. მოეწყო საუბრები და კონსულტაციები კონკრეტული ეკონომიკის საკითხებზე.

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის შესახებ სისტემატურად აწყობენ საუბრებს კომბინატის მთავარი ინჟინერი, სტალინური პრემიის ლაურეატი ი. კუხალაშვილი, მთავარი მექანიკოსი ა. ზემლიანოი, მთავარი ენერგეტიკოსი ი. ბახტაძე, ინჟინერი ვ. ცქიტიშვილი და სხვები.

პარტიული კომიტეტის ყურადღების შედეგად წელს საგრძნობლად გაიზარდა რაციონალიზატორთა რიგები. რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით დაზოგილია ასეულ ათასობით მანეთი, გაუმჯობესდა ტექნოლოგიური პროცესები. მაგალითად, სახარშავ დანადგარს გაუკეთდა სპეციალური ხელსაწყო, რის შედეგად ხის ბოჭკოს დანაკარგები 5-6 პროცენტიდან 2-2,5 პროცენტამდე შემცირდა. ამჟამად ქაღალდის ფაბრიკის უფროსი ა. ესებუა და გამზომი ხელსაწყოების განყოფილების უფროსი გ. ბუხლოვი იმისათვის მუშაობენ, რომ ბოჭკოს დანაკარგები კიდევ უფრო შეამცირონ.

ცნობილია, რომ ცელულოზისა და ქაღალდის წარმოებაში ნედლეულად იყენებენ წიწვოვან ხე-ტყეს, რომელზედაც მშენებლები დიდ მოთხოვნილებას აყენებენ. ამიტომ ენგურელებმა გადაწყვიტეს მოეხდინათ უფრო იაფი მასალის, კერძოდ თხმელის და არყის ხის წარმოებაში გამოყენების ცდები. ცდებმა, რომელთაც ლაბორატორიის გამგე ვ. ფიჩხაია, საფქვავი განყოფილების ოსტატი ა. ბელქანია, ცელულოზის ქარხნის უფროსის მოადგილე კ. შუმეიკო ხელმძღვანელობდნენ, კარგი შედეგი გვიჩვენა და აქ, საბჭოთა კავშირში პირველად დაინერგა წარმოებაში თხმელისა და არყის ხის გამოყენება, მიღებული ცელულოზის გათეთრება. ეს ტექნიკური სიახლე აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ კომბინატის ახლომდებარე მიწის მასივებზე უახლოეს წლებში გაშენდეს თხმელის ტყე. ნედლეულის სიახლოვე დიდად გაზრდის კომბინატის საწარმოო სიმძლავრეს.

შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვა, წარმოების ნოვატორთა გაეცდილების გავრცელება პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური საზრუნავია. მისში მოწვეულ იქნა ქაღალდის ფაბრიკისა და ცელულოზის ქარხნის პარტიული ორგანიზაციების კრება, რომელსაც 67 კომუნისტი დაესწრო. კრებამ იმსჯელა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი მეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ ბევრი ნაკლი და ხარვეზია სოციალისტური შეჯიბრების ძასობრივად გაჩაღებისა და მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება-დანერგვის საქმეში. კრებამ აგიტატორებს დაავალა უფრო ფართოდ მოაწყონ ნოვატორთა გამოცდილების პროპაგანდა, დარაზმონ მშრომელები საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის სამძრძოლველად. ახლა აგიტატორები წარმოების ნოვატორთა მუშაობის გამოცდილებაზე სისტემატურად უამბობენ მუშებს. მოწინავეთა სახელი და გვარი შეაქვთ საპატიო წიგნში, აქვეყნებენ საპატიო დაფაზე. ახალგაზრდა მუშებთან შინაარსიან, საინტერესო საუბრებს აწყობენ წარმოების გამოცდილი ოსტატები თ. ჟერლიცინი, მ. ანოშკინი, მ. ლატკოვი და სხვები.

კომბინატის პარტიულმა კომიტეტმა (მდივანი ა. მეუნარგია) ამას წინათ მოაწყო თეორიული კონფერენცია კონკრეტული ეკონომიკის საკითხებზე. მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 16 მუშამ, ინჟინერმა და ოსტატმა. თეორიულმა კონფერენციამ დიდად შეუწყო ხელი კომბინატის კოლექტივს ეკონომიური ცოდნის დონის ამაღლებაში.

მას შემდეგ, რაც კომბინატი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გამგებლობაში გადავიდა, მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი თანდათან სწორდება, უმჯობესდება მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, გზა იხსნება მთავარი ამოცანის განსახორციელებლად — კომბინატის რენტაბელური მუშაობის მისაღწევად. პარტიული და სამეურნეო მუშაობის სწორად შეხამების შედეგია ის, რომ წელს კომბინატმა უკვე 900 ათასი მანეთი ეკონომია მისცა სახელმწიფოს.

ენგურის ქაღალდ-ცელულოზის კომბინატის პარტიული ორგანიზაცია გამოირჩევა ახლის გრძნობით, მასების გაძღოლის უნარით. მაგრამ ის, რაც გაკეთებულია, საკმარისი როდია. საწარმოში ჯერ კიდევ ბევრია ფარული რეზერვები. მათი გამოვლენებისა და გამოყენებისათვის ზრუნვა პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა.

ბ. მილიუტინი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თბილისის კოტონ-წინდების ფაბრიკის მოწინავე მუშა ზინა მარეხკოვა აღებულ ვალდებულებას ნაცვლად 115 პროცენტისა 140 პროცენტით ასრულებს. სურათზე: ზ. მარეხკოვა (მარჯვნივ) თავის გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდა მუშას ტ. მეხს.

ფოტო შ. გოქაძისა.

★

სკოლა და კოლმეურნეობა

ჩოხატაური. (საკ. კორ.). ხიდისთავის საშუალო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ნაყოფიერ დახმარებას უწევენ ამავე სოფლის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებს. მოსწავლეებმა კოლმეურნეობაში მოკრიფეს 33.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სწავლასა და შრომაში მოწინავე მოსწავლეებს რ. ჩიგოგიძეს, ნ. დოლიძეს, ნ. ხუნდაძეს, ლ. კალანდაძეს და სხვებს ამ სეზონში მოკრეფილი აქვთ ხუთასი-ხუთასი კილოგრამი ფოთოლი.

თავის მხრივ კოლმეურნეობამ სერიოზული დახმარება გაუწია სკოლას ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში. სკოლას მოუწყეს ფიზკულტურის შესანიშნავი მოედანი, რომლის მშენებლობაზე 25.000 მანეთამდე დაიხარჯა. კოლმეურნეობა აგებს აგრეთვე დამხმარე შენობას, რაზეც 45.000 მანეთი დაიხარჯება.

ახალი კლუბი და კანტორა

ქარელი. (საკ. კორ.). ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში დამთავრდა ახალი კაპიტალური შენობის აგება, რაზეც 150 ათასი მანეთი დაიხარჯა. აქ მოთავსებულია კანტორა და კეთილმოწყობილი საკოლმეურნეო კლუბი, რომელიც 400 მაყურებელს იტევს.

შენობის დაბლა მოწყობილია სარდაფი, სადაც შესაძლებელია 500 ტონაზე მეტი პროდუქტის შენახვა.

ნოტების გაცვლა საბჭოთა მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს შორის ახლო და შუა აღმოსავლეთში მდგომარეობის საკითხზე

19 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საბჭოთა მთავრობის დავალებით ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს გაუგზავნა ნოტები ახლო და შუა აღმოსავლეთში მდგომარეობის საკითხზე, რომლებიც გამოქვეყნდა საბჭოთა პრესაში 21 აპრილს.

11 ივნისს დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ელჩებმა და ამერიკის შეერთებული შტატების დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ნ. ს. პატოლიჩევს გადასცეს საპასუხო ნოტები, რომელთა ტექსტიდან ჩანს, რომ ამ სახელმწიფოთა მთავრობებმა უარი თქვეს მიიღონ საბჭოთა მთავრობის მიერ შეთავაზებული ოთხი სახელმწიფოს დეკლარაცია ახლო და შუა აღმოსავლეთში შვიდობისა და უშიშროების და ამ რაიონის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საკითხზე, და არა სურთ ახლო და შუა აღმოსავლეთში ვითარების გაჯანსაღებისა და ნორმალიზაციის მიმართულებით პირველი ნაბიჯის სახით შეთანხმდნენ იმაზე, რომ ოთხმა სახელმწიფომ გამაცხადოს, რომ ისინი გმობენ ძალის გამოყენებას, როგორც ამ რაიონის მოუწესრიგებელი პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას.

თავიანთ ნოტებში ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები ცდილობენ გაამართლონ პოლიტიკა, რომელსაც ისინი ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ ახორციელებენ, და დაამტკიცონ, თითქოს ამ რაიონში არსებული დაძაბულობის ძირითადი მიზეზი იყოს არა ამ სახელმწიფოთა ჩარევა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების საშინაო საქმეებში, არამედ არაბთა ქვეყნებსა და ისრაელის კონფლიქტის არსებობა. ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები თავიანთ ნოტებში ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს აგრესიულ ბაღდადის პაქტს თავდაცვითი ხასიათი ჰქონდეს და თითქოს ბაღდადის პაქტის წევრები იძულებული არიან თავიანთი უშიშროების უზრუნველსაყოფად განახორციელონ ერთობლივი ღონისძიებანი. თუმცა სამი მთავრობა სიტყვით აცხადებენ, რომ წინააღმდეგი არიან გამოიყენონ ძალა დავის გადაჭრისას, სადაც უნდა წარმოიშვას ეს დავა, მაგრამ საქმით უარს ამბობენ მიიღონ საბჭოთა წინადადება — გააკეთონ სპეციალური განცხადება იმის შესახებ, რომ გმობენ ძალის გამოყენებას ახლო და შუა აღმოსავლეთის მოუწესრიგებელი პრობლემების გადასაჭრელად.

ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები თავიანთ მხრივ არ სახავენ არც ერთ კონკრეტულ წინადადებას, რომელიც ხელს შეუწყობდა ვითარების ნამდვილ გაჯანსაღებასა და ნორმალიზაციას ახლო და შუა აღმოსავლეთში.

3 სექტემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ლ. ტომპსონი, დიდი ბრიტანეთის ელჩი სერი პატრიკ რაილი და საფრანგეთის ელჩი მ. დეჟანი და გადასცა მათ საბჭოთა მთავრობის ნოტები.

საბჭოთა მთავრობის ნოტაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი აღნიშნულია, რომ შეერთებული შტატები სულაც არ არიან დაინტერესებულნი, რომ შენელდეს დაძაბულობა ახლო და შუა აღმოსავლეთში და ამ რაიონის ხალხებს მიენიჭოთ შესაძლებლობა მშვიდობითა და უშფოთველად იცხოვრონ და თვითონ განსაზღვრონ თავიანთი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, როგორც ჩანს, განაზრახული აქვს კვლავაც განახორციელოს ახლო და შუა აღმოსავლეთში ეგრეთწოდებული ძალის პოზიციის პოლიტიკა, ამასთან ხელმძღვანელობს ამერიკის ნავთობის მონოპოლიების ინტერესებით და სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებებით და ანგარიშს არ უწევს არც ამ რაიონის ხალხთა ეროვნულ ინტერესებს, არც იმას, რომ საჭიროა მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება ახლო და შუა აღმოსავლეთში.

უარს ამბობს რა მბარი დაუჭიროს საბჭოთა მთავრობის წინადადებას ახლო და შუა აღმოსავლეთში ძალის გამოყენების დაგმობის შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აცხადებს, რომ საერთაშორისო დავის გადაწყვეტისას ძალის არგამოყენების პრინციპი განსახიერებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში და ამიტომ თითქოს საჭირო აღარ იყოს ამ საკითხზე სპეციალური დეკლარაციის მიღება. მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების არსებობამ ხელი ვერ შეუშალა, მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს ისრაელთან ერთად მოეხდინათ შეიარაღებული თავდასხმა ეგვიპტეზე, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ხელი ვერ შეუშალა იმაში, რომ მოეწყო ამერიკის მე-6 ფლოტის სამხედრო დემონსტრაცია იორდანიის ამბებთან დაკავშირებით, რითაც აშკარად მიმართა ძალის გამოყენების მუქარას. „ეიზენჰაუერის დოქტრინა“ პირდაპირ ითვალისწინებს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ ამერიკის შეიარაღებული ძალების გამოყენების შესაძლებლობას.

სამხედრო ბლოკების შექმნისა და ამ რაიონის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის პოლიტიკამ, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ახლო და შუა აღმოსავლეთში ახორციელებენ, ნათქვამია შემდეგ ნოტაში, უკვე გამოიწვია ვითარების სერიოზული გაუწვავება ახლო და შუა აღმოსავლეთში და მუდამ ქმნის კონფლიქტების სულ ახალ კერებს, რომელიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმეს, ამას მოწმობს, კერძოდ, ამას წინათ გამომქალავნებული მთავრობის საშინაოდ მდგომ შეთქმულება სირიაში, რომლის ორგანიზატორები ამერიკის ოფიციალური წარმომადგენლები არიან.

სსრ კავშირის მთავრობა კვლავ მიაპყრობს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ყურადღებას საშიშ შედეგებს, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ასეთ პოლიტიკას, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ნოტაში გამოთქმულ განზრახვას კვლავაც ჩაბან ამ რაიონის ქვეყნები სხვადასხვა სამხედრო დაჯგუფებაში, და მიიჩნია, რომ ამ რაიონში ვითარების გაჯანსაღებისა და ნორმალიზაციისთვის პირველი ღონისძიება იქნებოდა, რომ ოთხ სახელმწიფოს გაეკეთებინა განცხადება, რომელშიც დაგმობდა ძალის როგორც მოუწესრიგებელი საკითხების გადაჭრის საშუალების გამოყენებას და უარი ეთქვა ახლო და შუა აღმოსავლეთის საშინაო საქმეებში ჩარევაზე. საბჭოთა მთავრობის ნოტაში დიდი ბრიტანეთის მთავრობისადმი აღნიშნულია, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ, ნეგატიური პოზიცია დიაკავა რა ახლო და შუა აღმოსავლეთში ძალის გამოყენებაზე უარის თქმის წინადადებისადმი და არ შემოაქვს რა თავის მხრივ რაიმე კონკრეტული წინადადება, რომელიც იწვევდეს ახლო და შუა აღმოსავლეთში ვითარების ნორმალიზაციას, ახლა კვლავ გამოიყენა სამხედრო ძალა ამჯერად ომანსა და იემენში. ბრიტანეთის შეიარაღებული ინტერვენცია ომანში, რომლის დამოუკიდებლობაც ხელშეკრულებით აღიარა დიდმა ბრიტანეთმა, უხეში ძალადობის აქტია. ინგლისის მთავრობა, არღვევს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით ნაკისრ თავის ვალდებულებებს, კვლავ ძალით აბრუნებს სახალხო მოძრაობას ომანის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, იმწრაფვის რა თავი აარიდოს პასუხისმგებლობას ომანზე უკანონო თავდასხმისათვის და არ დაუშვას, რომ ეს აგრესია დაგმონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებმა, ინგლისის მთავრობა იმის წინააღმდეგ წავიდა, რომ ეს საკითხი განიხილოს უშიშროების საბჭომ.

ამჟამად დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი აძლიერებენ ნერვიულ ომს სირიის წინააღმდეგ და ემზადებიან ახალი ერთობლივი გამოსვლებისათვის სირიის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობას, რომელსაც აწუხებს დაძაბული ვითარება ახლო და შუა აღმოსავლეთში, მიაჩნია, რომ ამ დაძაბულობის ძირითადი წყაროა ძალის პოზიციის პოლიტიკა, რომელსაც ამ რაიონში ახორციელებენ დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი, და ფათ მიერ შექმნილი აგრესიული ბაღდადის პაქტის საქმიანობა. საბჭოთა მთავრობა ვერ დაეთანხმება დიდი ბრიტანეთის მთავრობის მტკიცებას, რომ ბაღდადის პაქტი თავდაცვითი ხასიათისაა და რომ ბაღდადის პაქტის მონაწილეთა მესაბეგ სესიას თითქოს დაედასტურებინოს ეს. ნამდვილად კი პაქტის მონაწილეთა უკანასკნელმა სესიამ, რომელიც ყარაჩში გაიმართა, ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ამ პაქტის წევრები ახორციელებენ პოლიტიკას, რომელსაც შეიძლება საშიში შედეგები მოჰყვეს ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობის საქმისათვის.

ნოტაში საფრანგეთის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობა აგრეთვე აღნიშნავს, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთში დაძაბულობის ძირითადი წყაროა ძალის პოზიციის პოლიტიკა, რომელსაც ამ რაიონში დასავლეთის სახელმწიფოები ახორციელებენ. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია ყურადღება არ მიაპყროს იმ გარემოებას, რომ საფრანგეთის მთავრობა თავის ნოტაში ამართლებს აგრესიულ ბაღდადის პაქტს, რომლის წინააღმდეგაც იგი ამ ცოტა ხნის წინათ გამოდიოდა.

დუმილით ვერ ავუვლით გვერდს, ნათქვამია შემდეგ ნოტაში, პრესაში ამ უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ ცნობებს არაბთა ქვეყნების წინააღმდეგ საფრანგეთისა და ისრაელის კავშირის შექმნის გეგმების შესახებ. საბჭოთა მთავრობის აზრით, ამგვარი კავშირის შექმნა, რომლის ინიციატორები ვერ დაფარავენ იმას, რომ ამ კავშირს უწინარეს ყოვლისა სამხედრო ასპექტი ენერგა, წაახალისებს ისრაელის მმართველი წრეების ელემენტებს, რომელნიც ყველაზე მტრულად არიან განწყობილნი არაბთა ქვეყნების წინააღმდეგ. ამან არ შეიძლება არ გამოიწვიოს ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში ვითარების კიდევ უფრო გაუარესება.

დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისათვის გაგზავნილი ნოტების დასასრულს საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ მომავალში კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და ახლო და შუა აღმოსავლეთში ვითარების საყოველთაო გაჯანსაღებისათვის საჭიროა ოთხმა დიდმა სახელმწიფომ პირველი ღონისძიების სახით გააკეთოს განცხადება, რომ გმობენ ძალის როგორც ახლო და შუა აღმოსავლეთში მოუწესრიგებელი საკითხების გადაჭრის საშუალების გამოყენებას და უარს ამბობენ ამ რაიონის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევაზე.

ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის

სოციალიზმი მსოფლიო სისტემაა

სოციალიზმის გადაქცევა მსოფლიო სისტემად თანამედროვე ეპოქის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა სოციალიზმი გამარჯვებული იყო მხოლოდ დედამიწის მეექვსედ ნაწილზე— სსრ კავშირში, რომლის მოსახლეობა კაცობრიობის მეათედსაც არ შეადგენდა, ხოლო მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში კაპიტალიზმი ბატონობდა. ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალისტური საზოგადოების აშენების, ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარებისა და განმტკიცების შედეგად შეიქმნა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, რომელიც მოიცავს ჩვენი პლანეტის მოსახლეობის მესამედზე მეტს. ორი მსოფლიო სისტემის — მომაკვდავი კაპიტალიზმისა და აღმავალი სოციალიზმის თანაარსებობა და ურთიერთობა განსაზღვრავს ჩვენი ეპოქის საზოგადოებრივ ცხოვრებას.

როგორია ამ ურთიერთდაპირისპირებული მსოფლიო სისტემების დამახასიათებელი თავისებურებანი და პერსპექტივები?

წარმოების კაპიტალისტური წესი XVI საუკუნეში წარმოიშვა. მას დაახლოებით სამი საუკუნე დასჭირდა იმისათვის, რომ მსოფლიო სისტემად გადაქცეულიყო. XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს კი კაპიტალიზმი გადაიზარდა თავის უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაში, იმპერიალიზმში, ლპობისა და ნგრევის ეპოქაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციიდან მხოლოდ 40 წელიც კი არ გასულა და სოციალიზმი ისე გაიზარდა, განმტკიცდა, რომ ძლევამოსილ მსოფლიო სისტემად გადაიქცა. სოციალიზმის განვითარებისა და ყოველმხრივ გაძლიერების, მისი მსოფლიო სისტემად გადაქცევის ასეთი სწრაფი ტემპი მკაფიოდ დასტურებს სოციალიზმის საზოგადოებრივ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობილების უდიდეს უპირატესობას კაპიტალიზმის წინაშე. კაპიტალიზმი, მიუხედავად ყოველგვარი მაქინაციებისა, უძლური აღმოჩნდა ხელი შეეშალა სოციალიზმის მსოფლიო სისტემად გადაქცევის ისტორიული პროცესისათვის, რაც კომუნიზმის უძლეველობის უდავო მომასწავებელია.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის წამყვან ძალას წარმოადგენს კომუნიზმის მშენებელი სსრ კავშირი, რომელმაც 1929 წელთან შედარებით 1955 წლისათვის სამრეწველო წარმოება გაადიდა 2.049 პროცენტით, მაშინ როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებსაც არ განუცდიათ ომით გამოწვეული ნგრევა და განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები ჰქონდათ, წარმოების გადიდება მოახერხეს მხოლოდ 234 პროცენტით, მთელი კაპიტალისტური სამყაროს მრეწველობამ კი უფრო ნაკლებით — 193 პროცენტით.

წინააღმდეგ კაპიტალისტური ქვეყნებისა, სადაც მდგომარეობა სულ უფრო მწვავდება, სოციალიზმის ქვეყნები განუხრელი აღმავლობის გზით მიდიან წინ. საბჭოთა კავშირი სამრეწველო წარმოების დონის მიხედვით მსოფლიოში უკვე მეორე ადგილზე გამოვიდა. რევოლუციამდელ დროსთან შედარებით 1957 წლისთვის სსრ კავშირში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გადიდდა 30-ჯერ და უფრო მეტად, ხოლო მძიმე ინდუსტრია —50-ჯერ და უფრო მეტად, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის წარმოება — 180-ჯერ, ელექტროენერგიის გამომუშავება — თითქმის 100-ჯერ. ასეთი უმაგალითო წარმატებანი მიღწეულია საბჭოთა ხელისუფლების დაახლოებით 40 წლის განმავლობაში, აქედან სულ ცოტა 18 წელი მოუნდა სამოქალაქო ომს, მეორე მსოფლიო ომს და ამ ომების შემდგომ პერიოდებში სახალხო მეურნეობის აღდგენას. მრეწველობის ზრდის ასეთი მაღალი ტემპი უმაგალითოა მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის განვითარების ისტორიაში.

სამრეწველო საწარმოების ზრდის ტემპებით მნიშვნელოვნად გაუსწრეს კაპიტალისტურ ქვეყნებს მსოფლიო სოციალისტური სისტემის სხვა ქვეყნებმაც. ჯერ კიდევ 1955 წლისათვის სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე გადამეტებულ იქნა პოლონეთში —4-ჯერ და მეტად, ბულგარეთში — 5-ჯერ და მეტად, ჩეხოსლოვაკიაში— 2-ჯერ და მეტად, უნგრეთში—3,5-ჯერ, რუმინეთში — თითქმის 3-ჯერ, ალბანეთში — 11-ჯერ და მეტად, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — 2-ჯერ და მეტად. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ სხვებზე გვიან დაიწყო სოციალიზმის მშენებლობა, მაგრამ 1957 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის წარმოება გაადიდა 4-ჯერ და მეტად.

1956 წელს სოციალისტური ქვეყნების მრეწველობამ მოგვცა 68 მილიონ ტონაზე მეტი ფოლადი, 50 მილიონ ტონაზე მეტი თუჯი, 290 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 956 მილიონი ტონა ქვანახშირი. მთელი მსოფლიოს მრეწველობის საერთო პროდუქციაში სოციალისტური ქვეყნების მრეწველობის წილმა მიაღწია ერთ მესამედს, ხოლო მარცვლეულის წარმოებამ—40 პროცენტს.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნებს შორის მიღწეულია მონოლითური ერთიანობა, დიადი თანამეგობრობა და ძმური თანამშრომლობა. ეს არის საერთაშორისო ურთიერთობის სრულიად ახალი, უმაღლესი ტიპი, რომელიც ემყარება სოციალისტური პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთიანობის ურყევ პრინციპებს. ჯერ კიდევ რევოლუციამდე ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „ძველ სამყაროს, ეროვნული ჩაგვრის, ეროვნული შუღლისა ან ეროვნული განკერძოების სამყაროს მუშები უპირისპირებენ ყველა ერის მშრომელთა ერთიანობის სამყაროს, სადაც არ იქნება არავითარი პრივილეგია, ადამიანის მიერ ადამიანის არავითარი ჩაგვრა“ (თხზ., ტ. 19, გვ. 89).

კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლებულ მშრომელთა ურღვევი ერთიანობის სწორედ ასეთ სამყაროს წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიო სოციალისტური სისტემა. ის გარემოება, რომ ყველა ქვეყნის კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება მალენკოვის, კაგანოვიჩისა და მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ, რომლის ფრაქციული მუშაობა ხელს უშლიდა სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის განვითარებას, ერთხელ კიდევ ადასტურებს მსოფლიო სოციალისტური სისტემის ურღვევ ერთიანობასა და უძლეველობას.

სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა და ძმური თანამშრომლობა ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს. ეს ურთიერთობა ეყრდნობა სუვერენული სოციალისტური სახელმწიფოების ხალხთა შეგნებულ, გეგმაზომიერ, თავისუფალ შემოქმედებითს შრომას და მიმართულია მათი საერთო დიადი მიზნისკენ — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ, რომლის უზრუნველსაყოფად მშრომელთა თავდადებულ ბრძოლას წარმართავენ და ხელმძღვანელობენ კომუნისტური და მუშათა პარტიები.

სოციალიზმის ქვეყნების თანამშრომლობაში წამყვან როლს ასრულებს სსრ კავშირი, რომელმაც საბჭოთა ხალხის გმირული შრომით კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით შექმნა პირველხარისხოვანი სოციალისტური ინდუსტრია და მსხვილი მექანიზებული კოლექტიური სოფლის მეურნეობა. საბჭოთა კავშირი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს აწვდის მრეწველობის მოწყობილობას, მანქანებს, შავი ლითონების ნაგლინს, რკინის მადანს, მარგანეცს, ნავთობის პროდუქტებს, სამრეწველო ნედლეულსა და სურსათ-სანოვაგეს.

როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე იყო აღნიშნული, სსრ კავშირი ეხმარება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს 391 საწარმოს და 90-ზე მეტი ცალკეული საამქროსა და დანადგარის მშენებლობაში. ამჟამად საბჭოთა კავშირი აწვდის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს კომპლექსურ სამრეწველო მოწყობილობას 478 საწარმოსათვის, მათ შორის ჩინეთს 211 საწარმოსათვის, პოლონეთს — 72, რუმინეთს — 56 და ბულგარეთს — 39 საწარმოსათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე მწყობრში ჩადგა და მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევა. საბჭოთა კავშირმა სოციალიზმის მშენებელ ქვეყნებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გასულ წლებში მისცა 28 მილიარდ მანეთზე მეტი საერთო თანხის გრძელვადიანი კრედიტები მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებში. სსრ კავშირი მეგობარ სახელმწიფოებს დიდ დახმარებას უწევს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით წარმოების მოწყობასა და ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებაში. აღნიშნული საწარმოებისა და საამქროების მოწყობის შედეგად სახალხო დემოკრატიის ქვეყნები ყოველწლიურად გაადიდებენ ელექტროენერგიის სიმძლავრეს დაახლოებით 5,4 მილიონი კილოვატით, მეტალურგიულ მრეწველობას—9 მილიონი ტონა ფოლადისა და 65 ათასი ტონა სპილენძის წარმოებით, ნავთობის პროდუქტების გადამუშავებას — 4 მილიონი ტონით და ა. შ.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს თავიანთი ინდუსტრიული განვითარების შედეგად შესაძლებლობა შეექმნათ ერთიმეორეს მიაწოდონ მანქანები და მრეწველობის მოწყობილობა. ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკა სხვა სოციალისტურ ქვეყნებს აწვდის მრეწველობის, ენერგეტიკისა და ამწევ-სატრანსპორტო მოწყობილობას. ჩეხოსლოვაკია თავისი მრეწველობის მოწყობილობით დაეხმარა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას 15 თბოელექტრო და ჰიდროელექტროსადგურის დამონტაჟებაში, რომელთა საერთო სიმძლავრე აღემატება რევოლუციამდელი ბულგარეთის ერთად აღებული ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრეს. პოლონეთსა და უნგრეთში სწრაფად განვითარდა სატრანსპორტო, სამთამადნო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, პოლონეთში ვითარდება გემთმშენებლობა და კომბაინების წარმოება ქვანახშირის მრეწველობისათვის. სოციალისტური მშენებლობის წლებში ბულგარეთმა შექმნა თავისი სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა. რუმინეთმა განავითარა ნავთობის მრეწველობის მოწყობილობის მშენებლობა, ტრაქტორების, ავტომობილების, ცემენტის,

ღვინო-არყის ფალსიფიკაციორები — სასჯელ პასუხისგებაში

უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია, რომ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, კერძოდ ზესტაფონის, თერჯოლის, მაიაკოვსკის და სხვა რაიონებში ფართოდ გავრცელდა ღვინის ფალსიფიკაცია. ფალსიფიკაციის დროს იყენებენ შაქარს, რომელსაც დიდი რაოდენობით ყიდულობენ მაღაზიებში. ყალბისმქნელები ამნაირად დამზადებულ ღვინოებს ყიდიან როგორც ადგილზე, საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები, სასოფლო საბჭოები და კოლმეურნეობათა გამგეობები ურიგდებიან ამ ფაქტებს და არ რაზმავენ საზოგადოებრივ აზრს ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად. რაც შეეხება მილიციის ორგანოებს, ისინი სათანადო ზომებს არ მიმართავენ იმ დანაშაულებრივი ელემენტების გამოსავლინებლად, რომლებსაც ღვინის ფალსიფიკაცია გამდიდრების საშუალებად გაუხდიათ. სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკები ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში სუსტად იყენებენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებას.

აგრეთვე შემჩნეულია, რომ ღვინის მთელ რიგ საწარმოებსა და ცალკეულ სავაჭროებში დამყარებული არ არის მტკიცე სახელმწიფოებრივი წესრიგი. ამის შედეგად არის სპირტის მოპარვის შემთხვევები. მოპარული სპირტით ამზადებენ ფალსიფიცირებულ არაყს, რომელსაც მოსახლეობაში ყიდიან.

ამ დღეებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო მნიშვნელოვანი დადგენილება „ღვინო-არყის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ". რესპუბლიკის მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება უზრუნველყოფს ღვინისა და არყის ფალსიფიკაციის აღმოფხვრას.

30 აგვისტოს ორჯონიკიძის (ხარაგოულის) რაიონის მილიციის განყოფილებამ დაანატომრა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა ფალსიფიკატორთა ჯგუფი. მათ შორის არიან შ. ძაძამია, გ. სალარიძე, ლ. სალარიძე, ლ. შუბითიძე და გ. შუბითიძე. მათ ჩამოერთვათ 22 ტონა ფალსიფიცირებული ღვინო, რომლის გატანასაც აპირებდნენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ პირადი გამდიდრების მიზნით.

გარდა ამისა, 4 სექტემბერს ზესტაფონის რაიონის მილიციის განყოფილებამ ამავე დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა ა. დემეტრაძე, გ. ჩუბინიძე, მ. კვეტენაძე. მათ ჩხრეკის დროს აღმოუჩინეს ორი ტონა და 780 კილოგრამი შაქარი, რაც შემონახული ჰქონდათ ღვინის „გასაკეთებლად".

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„წყალსადენის გაყვანისათვის არ ზრუნავენ"

მასწავლებელი ო. ფარჩუკაშვილი „კომუნისტში" გამოქვეყნებული წერილით მოითხოვდა სასმელი წყლის გაყვანას დუშეთის რაიონის სოფელ ოძისში.

რაისაბჭოს აღმასკომმა, მხარი დაუჭირა მასწავლებელ ო. ფარჩუკაშვილის მოთხოვნას, სოფელ ოძისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას გამოუყო 30 ათასი მანეთი გრძელვადიანი კრედიტი სოფელში წყალსადენის მშენებლობისათვის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე დასვა საკითხი საჭირო რაოდენობით მილების გამოყოფის შესახებ.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის შემდეგ

წინსვლის ახალ გზაზე

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა ქვანახშირის მოპოვების 8 თვის დავალება წარმატებით შეასრულა და საგრძნობი რაოდენობით მოგვცა ზეგეგმითი ქვანახშირი, მეტალურგებს მრავალი ათასი ტონა ზეგეგმითი საკოქსე კონცენტრატი გაუგზავნა. ამასთან ტყვარჩელელმა მეშახტეებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა, 7 თვეში 103,5 პროცენტით გაანაღდეს შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება და 20 კაპიკით შეამცირეს ტონა ქვანახშირის თვითღირებულება.

ტყვარჩელის შახტების კოლექტივთა ეს წარმატებები განაპირობა უმთავრესად პარტიის ბრძნული მითითების შედეგად განხორციელებულმა დიდმა ღონისძიებამ — მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გარდაქმნამ. მართვის გარდაქმნის ამ პირველ შედეგებს რომ დააკვირდები, გაოცებას მიეცემი: რა მოსაზრებით იყვნენ ამ დიდი ღონისძიების წინააღმდეგი ამჟამად უკვე ნიღაბახდილი ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილენი — მალენკოვი, კაგანოვიჩი, მოლოტოვი!

ტყვარჩელის მეშახტეთა კოლექტივები გასულ წელს ჩამორჩენილი იყვნენ. მეშახტეებმაც და მათმა ხელმძღვანელებმაც ვიცოდით, რომ ამ ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ საჭირო იყო გარკვეული ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელება, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციული ფორმების სრულყოფა, შრომის პროგრესულ მეთოდებზე გადასვლა. მაგრამ მართვის ძველი ფორმები გვბოჭავდა, საქმეს გვირთულებდა. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში გადასვლის შემდეგ წარმოების გასაჯანსაღებლად საჭირო ღონისძიებათა მიღება და განხორციელება, წარმოების შემაფერხებელი მიზეზების ოპერატიულად აღმოფხვრა დიდად გაგვიადვილდა, ხოლო ამას არ შეიძლებოდა დადებითი გავლენა არ მოეხდინა მუშაობის მაჩვენებლებზე.

ქვანახშირის მოპოვების გადიდებაში ხელი შეგვიწყო უწინარეს ყოვლისა შახტებში შრომის პროგრესული რეჟიმის დამკვიდრებამ — წყვეტილ სამუშაო კვირაზე გადასვლამ. ახლა ტყვარჩელელი მეშახტეები დღეღამეში 850-900 ტონით მეტ ქვანახშირს გვაძლევენ, ვიდრე განუწყვეტელი მუშაობის რეჟიმზე ყოფნის დროს იძლეოდნენ. ეს იმით აიხსნება, რომ დასვენების დღეებში, როცა შახტებში მოპოვებითი სამუშაოები არ მიმდინარეობს, მექანიზატორებს საშუალება აქვთ შეაკეთონ, კარგად გამართონ ტექნიკა, უზრუნველყონ საშახტო მექანიზმების სრული დატვირთვის დროს შეუფერხებელი მუშაობა. გარდა ამისა, სამუშაო ადგილების, სანგრევების, აგრეთვე საშახტო ტრანსპორტის გამართულობის უზრუნველყოფა უფრო ადვილი ხდება. ახალი რეჟიმით მუშაობაზე გადასვლამ გამოიწვია შრომის ნაყოფიერების ერთბაში ზრდა, ქვანახშირის თვითღირებულების შემცირება, საშუალება მოგვცა ზოგან შეგვემცირებინა მუშახელი სამუშაოთა უფრო „ვიწრო" უბნებზე გამოსაყენებლად.

საჰაერო-საბაგირო გზა, რომლითაც შახტებიდან გამოგვაქვს და გამამდიდრებელ ფაბრიკაში მიგვაქვს მოპოვებული ქვანახშირი, მთელი განვლილი წლების მანძილზე ვერ მუშაობდა ისე, როგორც საჭიროა, რითაც შახტების მუშაობას და. საკოქსე კონცენტრატის გამოშვებასაც აფერხებდა. ჩვენს ტრესტში წინათ იშვიათი როდი იყო ისეთი შემთხვევა, როცა შახტები იძულებული ხდებოდნენ ქვანახშირის გაუზიდავობის გამო მოპოვებითი სამუშაოების შეეკვეცათ. ჩვენ მოვახდინეთ საჰაერო-საბაგირო გზის მართვის რეორგანიზაცია დეცენტრალიზაციის პრინციპით. საბაგირო გზის ყოველი განშტოებული ხაზი ცენტრალურ ბაგირთან შეერთებამდე დავუმორჩილეთ იმ შახტის ხელმძღვანელებს, სადაც ეს ხაზი მიდის. ამ ღონისძიებამ გაუმჯობესა და დააჩქარა შახტებიდან ქვანახშირის გამოზიდვა, გაადიდა საჰაერო-საბაგირო გზის გამტარუნარიანობა.

წინათ სამ ცვლად მუშაობის დროს საჰაერო-საბაგირო გზის მომსახურე პერსონალს უხდებოდა ზედმეტ საათებში და გამოსასვლელ დღეებში მუშაობა, მაგრამ მთელი მოპოვებული ქვანახშირის გაზიდვას გზა მაინც ვერ აუდიოდა. დეცენტრალიზებული მართვის შემოღებისთანავე გზის გამტარუნარიანობა გაიზარდა 800-1.000 ტონით დღეღამეში, ხოლო ამჟამად მას დღეღამეში უკვე გადააქვს 2.000 ტონით მეტი ქვანახშირი, ვიდრე წინათ გადაჰქონდა.

მართვის გარდაქმნამ მოსპო უწყებრივი ზღუდეები, შექმნა იმის საშუალება, რომ წარმოების გაჯანსაღებისათვის საჭირო საკითხები დაუყოვნებლივ გადავწყვიტოთ. წინათ ისეთი საკითხების გადაჭრას, რომლებსაც ახლა 2-3 დღეში ვწყვეტთ, თვეები სჭირდებოდა.

მართვის ორგანიზაციის გარდაქმნის შემდეგ არა მარტო ქვანახშირის მოპოვება გაიზარდა, არამედ ბევრად გაუმჯობესეს მუშაობა ტყვარჩელის სხვა საწარმოებმაც. ქვანახშირის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი (დირექტორი ამხ. გ. გოგია) დიდი გადაჭარბებით ასრულებს ქვანახშირის გამდიდრების და საკოქსე კონცენტრატის გამოშვების დავალებებს. 1 აგვისტოსათვის ამ ფაბრიკის კოლექტივმა უკვე შეძლო მოეცა 1.500.000 მანეთის ეკონომია.

ასევე დიდი წარმატებით მუშაობს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სამშენებლო სამმართველო, რომელმაც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა 8 თვის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა და მარტო 7 თვეში 400 ათას მანეთამდე მოგება მოგვცა. კარგად მუშაობს ცენტრალური ელექტროტექნიკური სახელოსნო და სხვა საწარმოები.

მაგრამ ნაკლოვანებანი ტყვარჩელელებს კვლავ ბევრი გვაქვს. ჯერ კიდევ ბევრია გადაუწყვეტელი საკითხი, მოსაგვარებელი საქმე.

ტყვარჩელის მეორე შახტის კოლექტივი გეგმას ვერ ასრულებს, მან წელს სამშობლოს უკვე დააკლო მრავალი ათასი ტონა ქვანახშირი. სხვა შახტებიც ყველა უბანი ვერ მუშაობს გამართულად, ვერ ახერხებს ქვანახშირის მოპოვების გეგმების შესრულებას. ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის კოლექტივს, მის სამეურნეო ხელმძღვანელებს ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ არსებული ნაკლოვანებანი მოკლე დროში გამოვასწოროთ.

მიღწეული წარმატებები აღგვაფრთოვანებს შემდგომში უკეთ მუშაობისათვის. ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილებაა არ დავაყოვნოთ ყველა ღონისძიების განხორციელება არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის და უზრუნველვყოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულება, სამშობლოსათვის საუკეთესო ხარისხის ტყვარჩელური ქვანახშირის მზარდი რაოდენობით მიცემა.

ნ. ჩხეტია,
ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მმართველი.

წყალტუბოს სამკურნალო რადიაქტიური წყალი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის ათეულ ათასობით მშრომელს აზიდავს. სურათზე: რკინიგზელთა სანატორიუმში მკურნალობის კურსს გადიან ძველი ბოლშევიკები, სამოქალაქო ომის მონაწილენი, ამჟამად პერსონალური პენსიონერები ლენინგრადელი ნ. სოლოვიოვი და კრასნოდარელი ფ. კრუტეგოლოვი. ისინი უზიარებენ თავიანთ მოგონებებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლების გმირულ დღეებზე მოსკოვის ერთ-ერთი ქარხნის მოსამსახურეს ი. ვიტკინს.

ფოტო პ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი რედაქციას

მეტად ვიზრუნოთ ვეტერინარული კადრების მოსამზადებლად

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შრომობენ, რათა განახორციელონ პარტიის მიერ დასახული ამოცანა: უახლოეს წლებში დაეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი მთავარი პირობაა კადრების მომზადება, მოწინავე მეცნიერებისა და პრაქტიკოსი მუშაკების გამოცდილების დანერგვა წარმოებაში.

ვეტერინარიის დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს წინათ ჯერეროვანი ყურადღება არ ექცეოდა, იშვიათად წელიწადში ორი-სამი კაცი იგზავნებოდა ლენინგრადის კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში. ამ უკანასკნელ ხანს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარულმა სამმართველომ სერიოზულად მოჰკიდა ხელი კადრების მომზადებას, მოწინავე გამოცდილების დანერგვას. გამოცემულია აქტუალური ხასიათის ბროშურები და ფერადი პლაკატები მეცხოველეობის დარგის ყველა მუშაკის დასახმარებლად.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარული სამმართველო ყოველწლიურად უმაღლებს კვალიფიკაციას რესპუბლიკის რაიონებში მომუშავე ვეტერინარ სპეციალისტებს ლენინგრადის ვეტექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში და საქართველოს ზოოვეტინსტიტუტში. 1955-56 წლების განმავლობაში ქ. ლენინგრადში გადამზადებულია 30 ვეტექიმი, აქედან კლინიკურ-ეპიზოოტოლოგიური განხრით 18 კაცი, ლაბორატორიული განხრით — 12 კაცი. 1957 წლის თებერვალში გადამზადებულ იქნა ვეტსპეციალისტები — სულ 24 კაცი და ვეტექიმი ეპიზოოტოლოგები — 33 კაცი. აღნიშნული ვეტსპეციალისტების გადამზადების მიზნით ვეტსამმართველოს მიერ მოსკოვიდან მოწვეული იყვნენ პროფესორი ა. ა. პოლიკოვი, ვეტერინარულ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ი. ნიკიფოროვი და მეცნიერი მუშაკი ა. ა. ზოტოვა. ამ სპეციალისტებმა წაიკითხეს ლექციები საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის, მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებთან ერთად. წელს ივლისში გადამზადებულ იქნა რესპუბლიკის რაიონების ხორცის საკონტროლო სადგურებში მომუშავე 22 ვეტექიმი და სხვ. ამრიგად, მოსკოვში, ლენინგრადში, ერევანში და თბილისში უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში კვალიფიკაციის ამაღლების კურსები გაიარა 272 ვეტსპეციალისტმა.

წელს ვეტერინარულ სამმართველოს განზრახული აქვს გადაამზადოს რესპუბლიკის რაიონებში მომუშავე ვეტტექნიკოსები და რაიონსამკურნალოების ვეტექიმები.

უნდა აღინიშნოს, რომ რაიონებში მომუშავე ვეტსპეციალისტების საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ არის საკმაოდ დაუფლებული რუსულ ენას. ამიტომ მათი გაგზავნა რესპუბლიკის გარეთ ინსტიტუტებში არ იძლევა სათანადო შედეგს. საჭიროა დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს ზოოვეტინსტიტუტში მოიწყოს კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი კურსები, რაც დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი რესპუბლიკის ვეტსპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

ა. დარჯანია,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტსამმართველოს ვეტექიმი.

წარჩინებული მაღაროელის საღამო

ჭიათურა. (საკ. კორ.). ტრიფონ ფოფხაძის სახელი ჭიათურის ფარგლებს გასცდა. კეთილსინდისიერმა და უანგარო შრომამ ის საქვეყნოდ სახელმოხვეჭილ ადამიანად გახადა. მან ნახევარ საუკუნეს გადაატარა და 30 წელი ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროში გაატარა. რომელი პროფესია გნებავთ, რომ ტრიფონმა საფუძვლიანად არ იცოდეს! იგი ხალისით უზიარებს ახალგაზრდა მაღაროელებს თავის გამოცდილებას. 150-მდე მაღაროელი გამოუზრდია.

პატიოსანი და უანგარო შრომისათვის ტ. ფოფხაძე დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და რამდენიმე მედლით, ხოლო მაღაროელებმა იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატად აირჩიეს.

აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრში მარგანეცის ქალაქის მშრომელებმა ტ. ფოფხაძეს მოუწყეს დაბადების 50 წლისა და მაღაროში მუშაობის 30 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

ტ. ფოფხაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, პარტიას, თავრობას მისი შრომის დაფასებისათვის და იკისრა მეტი თავდადებით იმუშაოს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საღამო დასრულდა მხატვრული განყოფილებით.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მთავარ იარაღს წარმოადგენს სოციალისტური სახელმწიფო. რევიზიონისტები კი გამოდიან ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ. ისინი ბრალს სდებენ ი. ბ. სტალინს იმაში, რომ მან თითქოს დაამახინჯა სახელმწიფოს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, როცა დაასაბუთა ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის პირობებში სოციალისტური სახელმწიფოს შენარჩუნებისა და განმტკიცების აუცილებლობა. მაგრამ ყველასათვის ნათელია, რომ სოციალისტური სახელმწიფოს გარეშე საბჭოთა ხალხი ვერ ააშენებდა სოციალიზმს, ვერ გაანადგურებდა იმპერიალისტ დამპყრობლებს დიდი სამამულო ომის დროს და წარმატებით ვერ გააჩაღებდა კომუნიზმის მშენებლობას ომისშემდგომ პერიოდში.

თანამედროვე ვითარებაში, როცა ერთიმეორის გვერდით არსებობენ ურთიერთ დიამეტრალურად დაპირისპირებული აღმავალი სოციალიზმისა და ლპობადი, მომაკვდავი კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემები, სოციალიზმის განმტკიცებისა და განუხრელი წინსვლისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია საბჭოთა სახელმწიფოს, სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოების, მათი დაზვერვის ორგანოების, შეიარაღებული ძალების ყოველმხრივი გაძლიერება და სრულყოფა. ამას გვასწავლის სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის 40 წლის გამოცდილება.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ძალა მის მონოლითურ ერთიანობაშია. ამიტომ არის, რომ რევიზიონისტთა და იმპერიალისტთა ყოველგვარი მაქინაციების წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია ამ ერთიანობის შერყევისა და ძირის გამოთხრისაკენ, გადამწყვეტ ბრძოლას ეწევიან ყველა ქვეყნის კომუნისტები და მშრომელები. სოციალისტური მშენებლობის ე. წ. „განსაკუთრებული გზების" ძიება საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიერ შეძენილი მდიდარი გამოცდილების უგულებელსაყოფად, სოციალისტური ქვეყნების ურღვევი თანამეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის ნაცვლად ამ ქვეყნების ე. წ. „თანაარსებობაზე" ლაყბობა, ნამდვილი სოციალიზმის საწინააღმდეგოდ რაღაც ფანტასტიკური „საკაცობრიო სოციალიზმის" ან „ჰუმანური სოციალიზმის" გამოგონება, მარქსიზმ-ლენინიზმისადმი „სტალინიზმის" დაპირისპირება და სხვა ამის მსგავსი „თეორიები" მიმართულია სოციალიზმის მსოფლიო სისტემის სიმტკიცისა და ერთიანობის წინააღმდეგ. კაპიტალიზმთან სოციალიზმის მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრებისა და თანაარსებობის პირობებში იდეოლოგიური ბრძოლა კი არ სუსტდება, არამედ სულ უფრო ძლიერდება. ამიტომ აუცილებელია რევიზიონიზმისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ სისტემატური ენერგიული ბრძოლა, რევოლუციური სიფხიზლის ამაღლება და სოციალიზმის ბანაკის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ყოველმხრივ განმტკიცებას უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ სისტემის ძლიერების ზრდის შედეგად ჩაიშალა ამერიკის შეერთებული შტატების, მსოფლიო იმპერიალიზმის რეაქციული ძალების ავანტიურისტული გეგმები კორეაში, ეგვიპტესა და უნგრეთში. სოციალიზმის ქვეყნების მონოლითური ერთიანობა და მათი ძლიერების ზრდა ომის თავიდან აცილების საუკეთესო პირობაა. რაც უფრო გაძლიერდება და განმტკიცდება სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, მით უფრო გარანტირებული იქნება სოციალისტური ერების ეკონომიური და კულტურული ცხოვრების აყვავება, თავისუფლებისმოყვარე ხალხთა დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ყოველმხრივი განმტკიცება და გაძლიერება, რაც ყველა ქვეყნის კომუნისტებისა და მშრომელების უმაღლეს ინტერნაციონალურ მოვალეობას წარმოადგენს, კომუნიზმისაკენ ხალხთა ძლევამოსილი წინსვლის გადამწყვეტი პირობაა.

დოცენტი ბ. ბრეგაძე.

1960 წლისათვის აიყვანონ თუჯის საერთო გამოდნობა 68,3 მილიონ ტონამდე, ფოლადის წარმოება — 90,4 მილიონ ტონამდე, ნაგლინისა — 68,6 მილიონ ტონამდე.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გეგმების ასეთი კოორდინაცია შესაძლებლობას აძლევს მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნებს ფართოდ ისარგებლონ ერთიმეორის გამოცდილებით, პირველ რიგში სსრ კავშირის მოწინავე მეთოდებით, მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით და განავითარონ მეურნეობა უაღრესად ხელსაყრელ პირობებში, თავიანთი ბუნებრივი და ეკონომიური პირობების ყოველმხრივ გათვალისწინებით, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ყველა ქვეყნის ინტერესების შესაბამისად.

სულ სხვაგვარი ურთიერთობა არსებობს მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ქვეყნებს შორის. მათს ბანაკში უკიდურესად მწვავდება ანტაგონიზმი. კაპიტალისტური ქვეყნები და იმპერიალისტური ჯგუფები ცდილობენ შექმნან თავიანთთვის მონოპოლისტური, პრივილეგიური მდგომარეობა უმაღლესი მოგების უზრუნველსაყოფად. „თანამედროვე კაპიტალიზმი, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი თავის მოხსენებაში პარტიის X ყრილობაზე,—თუ მშვიდი დიპლომატების ენით ვიტყვით, ეს არის ავაზაკი, ავაზაკური ტრესტი, ეს წინანდელი, ნორმალური დროის ეპოქის კაპიტალიზმი როდია: ის, სარგებლობს რა მსოფლიო ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობით, ასეულ პროცენტობით იღებს მოგებას" (თხზ., ტ. 32, გვ. 218-219).

მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმოშობისა და განმტკიცების შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა წინააღმდეგობანი კაპიტალიზმის ბანაკში, გაღრმავდა კაპიტალიზმის საერთო კრიზისი, რომელიც საბოლოო დაღუპვას უქადის მთელ კაპიტალისტურ სამყაროს. ამიტომ ასეთი მდგომარეობიდან იმპერიალისტები გამოსავალს ეძებენ ახალი მსოფლიო ომისათვის მზადების, სხვადასხვა აგრესიული ბლოკების შექმნის, სხვის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების მოწყობის, სოციალიზმის ქვეყნებში დივერსიულ-ჯაშუშური საქმიანობის გაჩაღების, ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის პროპაგანდის გაძლიერების გზით. თანამედროვე პირობებში ბურჟუაზიული იდეოლოგები და პოლიტიკოსები მიმართავენ ყოველგვარ ცილისწამებასა და პროვოკაციებს, რათა დააეჭვონ მშრომელები მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების სისწორეში, მატყუონ და სწორ გზას ააცდინონ ისინი, შეარყიონ ხალხთა მასების შეგნებაში კომუნიზმის გარდუვალი გამარჯვების რწმენა. ამიტომ ყველა ქვეყნის კომუნისტები, მოწინავე მეცნიერები და კულტურის მოღვაწენი გადამწყვეტ ბრძოლას ეწევიან ყოველგვარი რეაქციული, ანტიხალხური გამოხდომების წინააღმდეგ.

თანამედროვე ბურჟუაზიის მთავარ ძალას მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში რევიზიონიზმი წარმოადგენს. მუშათა კლასის მოღალატენი, ყველა ჯურის რევიზიონისტები ყოველ გარდამტეხ მომენტში ირჩევდნენ იერიშისათვის მარქსისტულ-ლენინური თეორიის ისეთ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარებისა და პროგრესისათვის, ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნისათვის. ვის არ ახსოვს, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პერიოდში კაოწკიმ და სხვა რევიზიონისტებმა დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღეს უწინარეს ყოვლისა პროლეტარიატის დიქტატურის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების წინააღმდეგ? აგრეთვე ცნობილია, რომ სოციალიზმის აშენებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის გადამწყვეტ წლებში ტროცკისტები, ბუხარინელები და ყველა ჯურის ოპორტუნისტები გამოვიდნენ ერთ ქვეყანაში — საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის ლენინური თეორიის წინააღმდეგ. ამჟამად, როცა იზრდება და მტკიცდება მსოფლიო სოციალისტური სისტემა, ბურჟუაზიული იდეოლოგები და რევიზიონისტები კიდევ უფრო გაცოფებული იბრძვიან კომუნიზმის ცხოველმყოფელი იდეების წინააღმდეგ. ისინი ცდილობენ დაამახინჯონ და უარყონ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება მუშათა კლასის პოლიტიკური პარტიის, პროლეტარიატის დიქტატურის, სოციალისტური სახელმწიფოსა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შესახებ.

მაგალითად, ბურჟუაზიულმა სოციოლოგმა მ. ლანგემ 1955 წელს გამოაქვეყნა წიგნი სენსაციური სათაურით: „მარქსიზმი. ლენინიზმი. სტალინიზმი", რომელშიც იგი ცდილობს დაამტკიცოს მარქსიზმისაგან ლენინიზმის ჩამოცილება და მისი გამოყენების შეუძლებლობა საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე პირობებში. ასეთივე დაუმტკიცებელის დამტკიცებას ცდილობს დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატი ფ. შტერნბერგი თავის ნაჯღაბნში „მარქსი და თანამედროვეობა" (1956 წ.). თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგები და რევიზიონისტები გაჰკიოდნენ, რომ რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება თითქოს ეწინააღმდეგება მარქსიზმს, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარება თითქოს არ მიდის ლენინიზმის მიხედვით და ა. შ. მაგრამ ბრმეც კი ხედავენ, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და მსოფლიო სოციალიზმის სისტემის შექმნა მარქსიზმ-ლენინიზმის ტრიუმფია. სწორედ ისე მიიმართება თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება, როგორც ეს ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსისტული ანალიზის საფუძველზე. კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის პირობებში ჯერ ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა სოციალიზმმა, შემდეგ მას მიემატა ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები და ასე ჩამოყალიბდა მსოფლიო სოციალისტური სისტემა. მომავალში სხვა ქვეყნებშიც გაიმარჯვებს სოციალიზმი და ეს იქნება მარქსიზმ-ლენინიზმის ახალი ზეიმი. ასეთია თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონზომიერებათა მარქსისტულ-ლენინური გაგება.

ყოველივე ეს ცხადზე უცხადესია, მაგრამ ამისდა მიუხედავად, მაინც არიან ისეთი ელემენტები, რომლებიც სიტყვით კომუნისტებად თვლიან თავს, საქმით კი ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენას განიცდიან. მიმდინარე წლის 21 იანვარს იუგოსლავიის გაზეთ „ბორბაში" დაიბეჭდა პ. პეროვიჩის სტატია, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი. სტატიაში ავტორი ცდილობს საეჭვო გახადოს „ლენინიზმის" თვით ტერმინიც კი. იგი უარყოფს ლენინიზმს როგორც ახალ, უმაღლეს ეტაპს რევოლუციური თეორიის განვითარებაში იმ მოტივით, რომ ლენინიზმი „სტალინიზმში" გადაიზარდაო. იგი წერს, რომ ი. ბ. სტალინს თავის ნაშრომში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ" განზრახული ჰქონდა „ლენინიზმი მარქსიზმისათვის დაპირისპირებინა" და ამ გზით შეეცვალა იგი „სტალინიზმით". აი სადამდე მიდის რევიზიონიზმი. ყველასათვის ცხადია, რომ სწორედ აღნიშნულ ნაწარმოებში ი. ბ. სტალინმა შესანიშნავად განსაზღვრა ლენინიზმი როგორც თანამედროვე ეპოქის მარქსიზმი და ოსტატურად ჩამოაყალიბა ის ახალი, რაც ვ. ი. ლენინმა შეიტანა მარქსიზმის საგანძურში. სტალინმა ლენინიზმი მარქსიზმს კი არ დაუპირისპირა, არამედ, პირიქით, ყველასათვის გასაგებად დაასაბუთა და ცხადყო მარქსიზმ-ლენინიზმის განუყოფელი ერთიანობა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მეამარჯვენე რევიზიონისტები გასული წლის განმავლობაში გაფთრებულ ბრძოლას ეწეოდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ. ისინი წყვეტდნენ მარქსიზმს ლენინიზმისაგან, მარქსიზმს აცხადებდნენ მოძველებულად, ხოლო ლენინიზმს — მხოლოდ რუსულ მოვლენად, ამერიკისათვის მიუღებლად, და მოითხოვდნენ კომპარტიის ლიკვიდაციას, მის შეცვლას რაღაც ასოციაციით. მაგრამ ამერიკელი კომუნისტების ენერგიული ბრძოლის შედეგად რევიზიონისტები იზოლირებული აღმოჩნდნენ და სასტიკად დამარცხდნენ. მარქსისტ-ლენინელების ისტორიული გამარჯვებით დაგვირგვინდა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის მუშაობა 1957 წლის 9-12 თებერვალს ნიუიორკში.

ვიეტნამ-იუგოსლავიის კომუნიკე

ხანოი, 4 სექტემბერი. (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა კომუნიკე იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილის ს. ვუკმანოვიჩის ვიზიტის შესახებ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ ს. ვუკმანოვიჩის ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნის დროს გაიმართა მოლაპარაკება ერთი მხრივ ს. ვუკმანოვიჩსა და მის თანმხლებ პირებს და მეორე მხრივ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ფამ ვან დონგსა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხვა მოღვაწეებს შორის.

იუგოსლავ ხალხს და მის მთავრობას, ნათქვამია კომუნიკეში, იმედი აქვთ, რომ ვიეტნამელი ხალხი გაიმარჯვებს ვიეტნამის მშვიდობიანი და დემოკრატიული გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის საკითხზე მოლაპარაკების მსვლელობაში ორივე მხარემ აღიარა, რომ საჭიროა დამყარდეს ეკონომიური თანამშრომლობა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის.

დასასრულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ს. ვუკმანოვიჩის და მისი თანმხლები პირების მეგობრულმა ვიზიტმა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წვლილი შეიტანა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ხალხებს შორის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარების საქმეში და აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

კაირო, 4 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი ფავზი გამოვიდა ეროვნულ კრებაში და გააკეთა განცხადება ეგვიპტის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

„უკანასკნელ წლებში, — თქვა ფავზიმ, — ეგვიპტემ გადაატანა დიდმნიშვნელოვანი ამბები და წააწყდა სერიოზულ პრობლემებს. ეგვიპტე წააწყდა ხრიკებსა და შეთქმულებებს. მაგრამ იგი კვლავ და კვლავ ამტკიცებდა, რომ გადაწყვეტილი აქვს დაიცვას თავისი უფლებები. ეგვიპტე განამტკიცებდა მეგობრულ ურთიერთობას ბევრ ახალ ქვეყანასთან და ავითარებდა უკვე არსებულ ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან, ასრულებდა რა თავის როლს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში".

შეეხო რა ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ, საგარეო საქმეთა მინისტრმა თქვა: „ეგვიპტე დიდად აფასებს მხარდაჭერას, რომელიც მას გაუწიეს იმათ, ვინც დადგა სამართლიანობის მხარეზე, და მადლობას უხდის მათ მეგობრული პოზიციისათვის". საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეგვიპტე მტკიცედ მოითხოვს კომპენსაციის მიღებას იმ ზარალისათვის, რაც მას აგრესიის შედეგად მოუვიდა. მან განაცხადა: „ეგვიპტე არ დათანხმდება არაფერზე, გარდა სრული კომპენსაციისა, და იგი არ შეწყვეტს ამის მოთხოვნას".

ფავზიმ აღნიშნა ღონისძიებანი, რომლებიც მიიღო ეგვიპტემ სუეცის არხში ნაოსნობის რაც შეიძლება მალე განახლების მიზნით, და დაასახელა ეგვიპტის წარმატებანი არხის მართვის საქმეში ყველა ზღვაოსანი ქვეყნისა და მშვიდობის ინტერესებისათვის.

საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგ განაცხადა, რომ ეგვიპტე, იცავს რა თავის ეროვნულ სუვერენიტეტს, მტკიცედ ილაშქრებს უცხოეთის პაქტებში მონაწილეობის წინააღმდეგ და იბრძვის უცხოეთის ბატონობის წინააღმდეგ.

ფავზიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „აზორიელებს რა უცხოეთის ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკას, ეგვიპტე იცავს ყველა ქვეყნის ნამდვილი თავისუფლების უფლებას და მოითხოვს თანამშრომლობას ყველა სახელმწიფოს შორის. ეგვიპტე იბრძვის ხალხთა თვითგამორკვევის უფლების პატივისცემისათვის, ეკონომიური ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის და საერთაშორისო სადავო საკითხების მშვიდობიანი საშუალებებით მოწესრიგებისათვის. ეგვიპტეს, — განაგრძო მან, — ეკონომიური თანამშრომლობა მიაჩნია თანამშრომლობის საშუალებად, და არა უცხოეთის ბატონობის საშუალებად. ეგვიპტემ უარი თქვა დაქვემდებარებოდა უცხოეთის შენიღბულ ეკონომიურ ბატონობას. ეგვიპტე იბრძვის თავისი სრული თავისუფლებისათვის პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიურ ურთიერთობაში".

ფავზიმ აღნშნა, რომ ეგვიპტე ესწრაფვის საყოველთაო მშვიდობის, საერთაშორისო უშიშროებისა და განიარაღების მიღწევას.

დასასრულ საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზგასმით აღნშნა, რომ ეგვიპტე მხარს უჭერს იმათ, ვინც 'მიბოხოს დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა და აიკრძალოს მისი წარმოება.

ბუქარესტში ჩავიდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

ბუქარესტი, 4 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ბუქარესტში მეგობრობის ვიზიტით ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი. ქალაქის ათასობით მშრომელნი, რომელნიც აეროდრომზე და ქუჩებში შეიკრიბნენ, გულითადად ძიესალმნენ სტუმრებს.

აეროდრომზე მონღოლეთის მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ რუმინეთის მეშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გეორგიუ-დეეი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კივუ სტოიკა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ბოდნარაში, რუმინეთის მეშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი კ. პირვულესკუ და სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აგრეთვე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

უნგრეთის საშინაო საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ

ბუდაპეშტი, 3 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების საგარეო საქმეთა და სამართლისა და იუსტიციის საკითხთა კომისიების გაერთიანებული სხდომა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის მიერ ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხის" მომავალ განხილვასთან დაკავშირებით. სხდომაზე გამოვიდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი იმრე ხორვატი და იუსტიციის მინისტრი ფერენც ნეზვალი. იმრე ხორვატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „უნგრეთის საკითხი", რომელიც გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის დღის წესრიგშია შეტანილი, ყურით არის მოთრეული. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას, თქვა მან, უფლება არა აქვს განიხილოს ეს საკითხი, რომელიც უნგრეთის საშინაო საქმეა. ჩვენ, განაგრძო ხორვატმა, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ამ ქვეყნად არის ბევრი განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი პრობლემა, რომლებზეც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნდა მუშაობდეს და რომელთა ნაწილიც მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის კოლოსალური ზეგავლენით უკვე დაისვა დღის წესრიგში, მაგრამ რომლებიც დღემდე არასოდეს არ განხილულა სათანადო ყურადღებით. ასეთ საკითხებს ეკუთვნის უშინაარეს ყოვლისა განიარაღების საკითხი, რომელიც მსოფლიოს ყველა ხალხს აინტერესებს და რომლის გადაჭრაზეც დამოკიდებულია ხალხთა მომავალი. ამ ჯგუფისავე საკითხებს ეკუთვნის ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, მისი გამოცდის დროებითი შეწყვეტის საკითხები. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვალდებულია იმუშაოს აგრეთვე ისეთ ნამდვილად დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე, როგორიც არის, მაგალითად, ომანის, ალეირისა და კვიპროსის საკითხი, სადაც იმპერიალისტები თვითნებობას სჩადიან მკვიდრი მოსახლეობის მიმართ.

შემთხვევითი როდია, აღნიშნა ი. ხორვატმა, რომ ამერიკის კონგრესსა ხმა მისცა წლიურად 100 მილიონი დოლარის გადადებას იმ ქვეყნებში ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, ხოლო 1956 წელს ეს ასიგნებანი კიდევ 25 მილიონი დოლარით გადიდა. ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ კოლოსალურმა თანხამ მეტად დიდი როლი შეასრულა უნგრეთის კონტრრევოლუციაში.

იუსტიციის მინისტრმა ფერენც ნეზვალმა ილაპარაკა „ხუთთა კომიტეტის" მოხსენების ცალკეულ მტკიცებებზე და განიხილა ისინი კონსტიტუციური სამართლის თვალსაზრისით. რაც შეეხება ვარშავის ხელშეკრულების დენონსაციას, განაცხადა მან, ამის ჩადენის უფლება არა ჰქონდა არც იმრე ნაგისა და არც მინისტრთა საბჭოს, რადგან, კონსტიტუციის თანახმად, ასეთი განსაკუთრებული დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა შეუძლია მხოლოდ სახელმწიფო კრებას ან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმს.

სხდომის დასასრულს სახელმწიფო კრების საგარეო საქმეთა და სამართლისა და იუსტიციის საკითხთა კომისიებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც გამოთქვამენ პროტესტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტის მოხსენებისა და გენერალური ასამბლეის სესიის დღის წესრიგში „უნგრეთის საკითხის" შეტანის წინააღმდეგ.

რეზოლუციაში ნათქვამია:

სახელმწიფო კრების ორი კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე დადასტურდა, რომ:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-11 სესიის № ა1132 გადაწყვეტილება „ხუთთა კომიტეტის" შექმნისა და ამ კომიტეტისათვის მიცემულ მითითებათა შესახებ უნგრეთში შექმნილი მდგომარეობის გამოსაძიებლად — მოაწყოს მეთვალყურეობა უნგრეთსა და სხვა ადგილებში, დაჰკითხოს მოწმეებს, თავისი შეხედულებისამებრ შეაგროვოს ინფორმაცია და დამამტკიცებელი საბუთები და შემდეგ თავისი დაკვირვება მოახსენოს გენერალურ ასამბლეას — წარმოადგენს საერთაშორისო სამართლისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უხეშ დარღვევას, სადაც ნათქვამია, რომ „ეს წესდება ოდნავაც არ აძლევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უფლებას ჩაერიოს საქმეებში, რომლებიც არსებითად ყოველი სახელმწიფოს საშინაო კომპეტენციაში შედიან".

2. ეგრეთწოდებული „ხუთთა კომიტეტი" მოხსენების შედგენისას იყენებდა მეთოდს, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ცივილიზებული ერების მიერ მიღებულ გამოძიების წარმოების ძირითად პრინციპებს, რადგან კომიტეტი, გარდა სამი ყბადაღებული კონტრრევოლუციონერის — ბელა კირაის, ანა კეტლისა და იოჟეფ კევაგოსი, არ ასახელებს იმ მოწმეებს, რომელთა ჩვენების საფუძველზე შედგენილ იქნა მოხსენება, რომელიც დამყარებულია — როგორც ეს თვით მოხსენებიდან ჩანს — უწინარეს ყოვლისა ისეთი ელემენტების განცხადებებზე, რომლებიც უნგრეთში კონტრრევოლუციის ორგანიზატორები ან აქტიური მონაწილეები იყვნენ. ამავე დროს „ხუთთა კომიტეტი" სრულიად არ იღებს მხედველობაში დოკუმენტებს, რომლებიც უნგრეთის მთავრობამ გამოსცა და გამოქვეყნებულია უნგრეთის პრესაში, და ამრიგად ხატავს უნგრეთში 1956 წლის ოქტომბერ-ნოემბრის კონტრრევოლუციური ამბების ცალმხრივ ყალბ სურათს.

გარდა ამისა, მოხსენება გაჟღენთილია მოგონილი მტკიცებებით, წამქეზებლობით, რომლებიც მიმართულია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, მისი მთავრობისა და სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ.

3. იმრე ნადმა უხეშად დაარღვია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი წესრიგი და უნგრეთის კონსტიტუციის დებულება; დაარღვია რა ფიცი, მან თვითნებურად მიიღო გადაწყვეტილება ისეთ საკითხებზე, რომლებიც სახელმწიფო კრების ანდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის კომპეტენციაში შედიან; მან უგულებელყო სახელმწიფო კრების მიერ მიღებული და დამტკიცებული კანონები, კერძოდ 1955 წლის № 3 კანონი ვარშავის ხელშეკრულების შესახებ. დაარღვია რა ვალდებულებანი, რომლებიც დაწესებულია უნგრეთთან 1947 წლის საზავო ხელშეკრულების მე-4 მუხლით, მან დაუშვა უნგრეთის ტერიტორიაზე ისეთი ორგანიზაციების შექმნა, რომელსაც ფაშისტური ხასიათი აქვთ და ეწევიან მტრულ პროპაგანდას უნგრეთის იმ მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები არიან, და ეს პროპაგანდა მიმართულია ამ ქვეყნების ტერიტორიული ხელშეუხებლობის წინააღმდეგ, რამაც საფრთხე შეუქმნა მშვიდობას ევროპის ამ ნაწილსა და მთელ მსოფლიოში. მან დაუშვა, რომ კანონიერი განკარგულების მიუცემლად გათავისუფლეს დამნაშავეები და პოლიტიკური პატიმრები, რომელთა შორისაც ბევრი იყო ფაშისტი სამხედრო დამნაშავე და ჯაშუში, უცხოეთის დაზვერვაში რომ მსახურობდნენ. უკანონოდ და ისე, რომ არავითარი რეშენება არა ჰქონია, მან დაუსაბუთებლად ცნო კარდინალ იოზეფ მინდსენტისათვის წაყენებული ბრალდებანი და თავის გამოსვლაში აღუდგინა მას უფლებები, მიუხედავად იმისა, რომ განაჩენი, რომლის გასაჩივრება არ შეიძლებოდა, იუსტიციის სათანადო ორგანოებს არ გადაუსინჯავთ და არ შეუცვლიათ.

4. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა 1956 წლის 3 ნოემბერს, ისარგებლა რა თავისი კონსტიტუციური კომპეტენციით, გაათავისუფლა იმრე ნადის მთავრობა და აირჩია რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელიც იანოშ კადარის ხელმძღვანელობით შეიქმნა. ამით იმრე ნადის მთავრობა აღარ იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა. იმ შეხედულებათა წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობენ საეჭვო გახადონ უნგრეთის ახლანდელი მთავრობის არსებობის იურიდიული საფუძველი, სავსებით უყურადღებოდ ტოვებენ უნგრეთის არსებული საზართლის დებულებებს. უნგრეთის კონსტიტუციის მე-20 პარაგრაფის მეოთხე პუნქტისა და 23-ე პარაგრაფის მე-2 პუნქტის თანახმად, მინისტრთა საბჭოს და მის წევრებს სახელმწიფო კრების ორ სესიას შორის ირჩევს და ათავისუფლებს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმი.

5. უნგრეთის სახალხო კრების პრეზიდიუმი აირჩია სახელმწიფო კრებამ 1953 წლის 17 მაისს პირველსავე სესიაზე სახელმწიფო კრების არჩევის შემდეგ, რომელიც მოხდა მოქალაქეთა საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე და ფარული კენჭისყრით, და მას შემდეგ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმი განუწყვეტლივ მუშაობს. მაშასადამე, პრეზიდიუმი განასახიერებს უნგრეთის მშრომელი ხალხის ნებას და თავისი მოღვაწეობისათვის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის 21-ე პარაგრაფის მე-2 პუნქტის თანახმად, პასუხისმგებლობა აკისრია მხოლოდ და მხოლოდ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების წინაშე. ყოველი მოსწრაფება სადავო გახადონ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის მოქმედების კანონიერება წარმოდგენს უნგრეთის სახელმწიფო კრების კომპეტენციის ხელყოფას და არღვევს უნგრეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტს.

6. უნგრეთის სახელმწიფო კრებამ პოზიციიდან, რომელიც 1957 წლის მაისის სესიაზე დაიკავა, დაგმო მთავრობაში იმრე ნადის ანტიკონსტიტუციური და ანტიხალხური საქმიანობა და დაეთანხმა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას, რომლითაც იმრე ნადს ნდობა დაუკარგა და გაათავისუფლა იგი და მისი მთავრობა მოვალეობის შესრულებისაგან. სახელმწიფო კრებამ დაგმო ვარშავის ხელშეკრულების ანტიკონსტიტუციური დენონსაცია და ამავე დროს დაეთანხმა რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის დანიშვნას. სახელმწიფო კრებამ მოიწონა აგრეთვე რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად იგი უნგრეთში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენაში განაგრძობდა საბჭოთა არმიის დახმარებით საოგნელობას, რომელსაც მთავრობამ 1956 წლის 4 ნოემბერს სთხოვა დახმარება გაეწია კონტრრევოლუციის შეიარაღებული თავდასხმის ჩახშობისათვის. სახელმწიფო კრებამ არათუ კანონიერად მიიჩნია ეს ნაბიჯი, არამედ მადლობაც გადაუხადა საბჭოთა კავშირს დახმარების გამო, რომელიც მან უნგრელ ხალხს გაუწია.

ამიტომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების საგარეო საქმეთა კომისია და სამართლისა და იუსტიციის საკითხთა კომისია წინადადებას აძლევენ საპარლამენტთაშორისო კავშირის უნგრეთის ჯგუფს კავშირის ლონდონის კონფერენციაზე შეიტანოს წინადადება, რომ ეროვნულ ჯგუფებს გააცნოს კომისიების ზემოთ ჩამოყალიბებული თვალსაზრისი. უნგრეთის ჯგუფმა უნდა სთხოვოს კონფერენციის მონაწილე ეროვნულ ჯგუფებს თავიანთი პარლამენტების მეშვეობით გაგზავნა მოახდინონ თავიანთი ქვეყნების მთავრობებზე ისეთი მიმართულებით, რომ უკანასკნელები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხის" განხილვის დროს გამოვიდნენ ყოველივე იმის გათვალისწინებით, რაც ამ რეზოლუციაშია ნათქვამი, და ცხარი დაუჭირონ იმას, რომ „უნგრეთის საკითხი", როგორც უნგრეთის საშინაო საქმეებში ჩარევა რაც შეიძლება მალე მოხსნილ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღის წესრიგიდან.

სპორტის ამბები

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა" კლასი

4 სექტემბერს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა „ა" კლასის გუნდების მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები — „დინამო" და „ლოკომოტივი". ასპარეზობა დინამოელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

• • •

მოსკოვი. 5 სექტემბერი. დღეს შედგა XIX ჩემპიონატის მეორე წრის მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბისა და თბილისის „დინამოს" გუნდებს შორის. გიმარჯვეს არმიელებმა 2:0.

„ბ" კლასი

ქუთაისის ლოკომოტიველებმა მორიგი შეხვედრა გამართეს ბაქოში ადგილობრივი „ნეფტიანიკის" წინააღმდეგ. მძაფრი სპორტული ბრძოლა დამთავრდა ბაქოელ ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

უძლიერესთა შეხვედრები

გუშინ თბილისსა და კაუნასში დაიწყო ჩვენი ქვეყნის უძლიერეს კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივების ასპარეზობა სსრ კავშირის პირველობაზე.

თბილისში ერთმანეთს ეპირველობას ეცილებიან ლენინგრადის „ბურევესტნიკის", სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის, მოსკოვის „სპარტაკის", კიევის „ბურევესტნიკის", სვერდლოვსკის ნაკრები და თბილისის „დინამოს" გუნდები.

„დინამოს" სტადიონის კალათბურთის მოედანზე პირველად ერთმანეთს შეხვდნენ ცსკმოსა და მოსკოვის „სპარტაკის" კალათბურთელები. ეს შეჯიბრება არმიელ სპორტსმენთა უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა ჯითივე გამარჯვებით ანგარიშით 74:53.

მორიგ მატჩში იბრძოდნენ გათამაშების ლიდერი ლენინგრადის „ბურევესტნიკის" კალათბურთელები და მათი კიეველი თანაკლუბელები. გიმარჯვეს ლენინგრადელებმა ანგარიშით 75:71.

თბილისის დინამოელები პირველ მატჩში შეხვდნენ სვერდლოვსკის გუნდს და გიმარჯვეს 70:61.

წყალბურთელთა ასპარეზობა

თბილისის ფიზკულტურის პარკის საცურავ აუზში რამდენიმე დღეა მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის „ბ" კლასის წყალბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა.

სხვა კოლექტივებთან ერთად ქვეჯგუფებში წარმატებით გამოდიოდნენ თბილისის „ბურევესტნიკის" წყალბურთელები, რომლებმაც დასკვნითს შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

თბილისელებთან ერთად ფინალურ ჯგუფში შევიდნენ სტალინგრადის „სპარტაკის", მოსკოვის „ბურევესტნიკის", ლვოვის „დინამოს", რსფსრ და ტაჯიკეთის ნაკრები გუნდები.

ახალი მაგისტრალი

ვაკის პარკთან ტრამვაიდან რომ გადმოხვალთ, თქვენს ყურადღებას მიიპყრობს ბულდოზერებისა და ექსკავატორების ხმაური. ხევში გაცხოველებული მუშაობაა. დაიწყო ვაკე-საბურთალოს ახალი დიდი მაგისტრალის მშენებლობა. იგი ამ ორ უბანს უმოკლესი გზით შეაერთებს ერთმანეთთან. ამას გარდა, ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობისაგან განტვირთავს ორჯონიკიძის რაიონის ბევრ უბანს.

მაგისტრალი დაიწყება ვაკის კულტურისა და დასვენების პარკის მთავარ შესასვლელთან, გადაივლის მდინარე ვერის ხევს, კლდოვან ქედს მდინარის მარცხენა ნაპირზე, გაემართება საბურთალოსაკენ და დამთავრდება პავლოვის ქუჩასთან. მისი სიგრძე 1.600 მეტრი იქნება.

სამუშაოთა მწარმოებელმა ახალგაზრდა ინჟინერმა აკაკი შარაშიძემ ამ მშენებლობის შესახებ გვიამბა:

— მდინარე ვერაზე აიგება 10 მეტრი დიამეტრის, 7 მეტრის სიმაღლისა და 100 მეტრი სიგრძის დიდი თაღოვანი ბეტონის კოლექტორი, ამის შემდეგ მარცხენა ნაპირის კლდოვანი ქედი უნდა გავჭრათ 40 მეტრ სიღრმესა და დაახლოებით 100 მეტრ სიგანეზე. ხევთან საბურთალოს დასაწყისში გაკეთდება კიდევ ორი კოლექტორი და რამდენიმე საღრენაჟო არხი, სადაც გაივლის წვიმის წყალი. ვაკის მხარეს, ფიზკულტურის ინსტიტუტის შენობის ახლოს, 160 მეტრზე აიგება 6-8 მეტრი სიმაღლის საყრდენი კედელი. შესრულდება 700.000-ზე მეტი კუბური მეტრი კლდისა და მიწის სამუშაო. შემდეგ დავიწყებთ დიდი ყრილების — გზის ვაკისის გაკეთებას. მაგისტრალის სავალ ნაწილი 50 მეტრი სიგანისა გაკეთდება, ორივე მხარეს ექნება სამ-სამი მეტრი ტროტუარი, აგრეთვე დატოვებული იქნება ორ-ორ მეტრამდე სიგანის ადგილი მომავალი შესაძლო რეკონსტრუქციისათვის. ყველა ამ სამუშაოს შესრულება მოითხოვს ბევრი სახლის აღებას და საბურთალოს მხრიდან თითქმის მთელი ახლომახლო უბნების რეკონსტრუქციას.

მაგისტრალის ორივე მხარეს დაირგვება მარადმწვანე და ფოთლოვანი ხეები — კედარი, ფიჭვი, ნეკერჩხალი, ჭადარი, აკაცია. მაგისტრალის მარჯვენა მხარეს — დელისის ავტოგრომთან მოეწყობა პარკი, დაიდგმება მხატვრული ლამპიონები, იმოძრავებს ტროლეიბუსი, ავტობუსი.

ვაკე-საბურთალოს მაგისტრალის მშენებლობის დამთავრება ნავარაუდევია მომავალი წლის მაისისათვის. მაშინ ქალაქის ეს ნაწილი ერთ-ერთი კეთილმოწყობილი და ულამაზესი უბანი იქნება.

ე. მამალაძე.

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისა და მრავალი წლის პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მოქანდაკე ნ. კანდელაკს მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის საპატიო წოდება. სურათზე: საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ნ. კანდელაკი თავის სახელოსნოში სსრ კავშირის სახალხო არტისტის ა. ხორავას ბიუსტთან.

ფოტო ვ. ვახტანგაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

ეგვიპტეს-იორდანიის ეკონომიური ურთიერთობა

ბეიროუთი, 4 სექტემბერი. (საკდესი). ეგვიპტეს ეკონომიური ურთიერთობა ურდგინეთ ეგვიპტეს, ინდოეთ, ინდონეზიასა, ბურმასა, ეთიოპიასა, ავსტრალიასა, ბულგარეთ, ჩეხოსლოვაკეთ, ბელგიასა, ბრაზილიასა, ბერძნეთ, ესპანეთ, ეგვიპტეს, ინგლისს, ირლანდიას, ისლანდიას, ისრაელ, ლიბანეს, ლუქსემბურგ, ნიდერლანდ, ნორვეგიას, პაკისტან, პორტუგალიას, ფინეთ, ფრანგეთ, ჩილეს, ჩინეთ, ავსტრიას, ალბანეთ, ბელგიას, ბრაზილიას